ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

პარასკევი, 13 დეკემბერი, 2019 №295 (8249) ფასი: 60 თეთრი

## პარლამენტმა 14 კანდიდატი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დაამტკიცა

მათ შორის შალვა თადუმაძე, გიორგი მიქაუტაძე და მამუკა ვასაძე არიან




გვ.2

10 დეკემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამა

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# ლევან ხაბეიშვილი: „ეს პარლამენტი კი არა, ივანიშვილის ზოოპარკია!“



გვ.4

„სახელმწიფოს აშენება გვინდა და ისევ მურუსიძე და ჩინჩალაძე უნდა იყვნენ?! ვერ იქნებიან!“

## აკაკი ბობოხიძე: „არ გამიკვირდება, თუ „ოცნება“ პარლამენტში სუნზე საქმეს ტერაქტის მუხლით აღძრავს“



გვ.2

„როცა ჟურნალისტებს მანდატურები დარბაზიდან ყრიდნენ, რამდენიმე მათგანს თვალზე ცრემლი ჰქონდა“

## ბაჩუკი ქარდავა: „ივანიშვილმა უნდა დათმოს“



გვ.4

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „თუ პრეზიდენტი არ გადადგება, სახელმწიფო გადატრიალება მოხდება“



გვ.5

## გადადგეს განათლების მინისტრი!!!



გვ.3

მშობლებო, სკოლებში ლგბტ ესეების კონკურსი დაიწყო!

## მამუკა ტუსკაძე: „ციხეებზე ლომჯარიას განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება“



გვ.5

სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმება არ შეიძლებოდა

## მიაღწევენ თუ არა ჟენევის მოლაპარაკებებზე ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლებას? 

გვ.4

ISSN 1987-9385

**2** „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ოთარ ჩრდილელმა სადეპუტატო მანდატი დატოვა

**2** ნიკა მელიას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა

**6** დეზოდორანტის მოყვარულის გამო სკოლის ავტობუსის ევაკუაცია განხორციელდა

**6** რუსეთი 2 გერმანელ დიპლომატს ქვეყნიდან აძევებს

# პარლამენტმა 14 კანდიდატი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დაამტკიცა

## მათ შორის შალვა თადუმაძე, გიორგი მიქაუტაძე და მამუკა ვასაძე არიან

გუშინ, 12 დეკემბერს, პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლე დაამტკიცა.

მათ შორის არიან: გენერალური პროკურორი შალვა თადუმაძე (89 ხმით), მისი მოადგილე მამუკა ვასაძე (88 ხმით) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე (85 ხმით).

პარლამენტმა მხარი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შემდეგ კანდიდატებს დაუჭირა: მერაბ გაბინაშვილი – 86 ხმა, მირანდა ერემაძე – 83, მამუკა ვასაძე – 88, მაია ვაჩაძე – 90, თამარ ზამბახიძე – 89, შალვა თადუმაძე – 89, ვლადიმერ კაკაბაძე – 86, ლევან მიქაბერიძე – 89, გიორგი მიქაუტაძე – 85, ნუგზარ სხირტლაძე – 90, ლალი ფაფიაშვილი – 88, ნინო ქადაგიძე – 85, ქეთევან ცინცაძე – 85, ალექსანდრე წულაძე – 87.

პარლამენტმა ჩააგდო შემდეგი კანდიდატები: თამარ ალანია – 0 ხმა, გოჩა ჯეირანაშვილი – 2, ლაშა ქოჩიაშვილი – 2, შოთა გეწაძე – 2, პაატა სილაგაძე – 0.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დასამტკიცებლად საჭირო იყო 76 დეპუტატის მხარდაჭერა.




სხდომას არ დასწრებია არც ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი. კენჭისყრამ ასევე ჩაიარა დამოუკიდებელი დეპუტატების გარეშე. უმრავლესობის წევრების გარდა, სხდომაზე მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი დეპუტატი, ეკა ბესელია, იმყოფებოდა.

გუშინვე აღნიშნულ ფაქტს აშშ-ის საელჩო საქართველოში გამოეხმაურა.

„ბოლო თვეების განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ყურადღებით აკვირდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს უვადოდ გამწესებისთვის.

მაისში ჩვენ გამოვთქვით წუხილი პარლამენტის მიერ მიღებულ შერჩევის პროცედურებზე, რომელმაც ვერ ასახა ვენეციის კომისიის, ეუთო/ოდირისა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მისიების ბევრი რეკომენდაცია.

ჩვენ ვიზიარებთ საერთაშორისო დამკვირვებლებისა და ქართველი ექსპერტების შეფასებას, რომ კანდიდატთა შერჩევის შემდგომი პროცესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იყო არასაკმარისად გამჭვირვალე, შედეგად, რიგი ნომინირებული პირებისა არ წარმოადგენდნენ საუკეთესო კვალიფიციურ კანდიდატებს.

ნომინირებული კანდიდატების მოსმენები პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში იყო ღია და გამჭვირვალე.

მოსმენებისას კანდიდატების გარკვეულმა ნაწილმა ვერ შეძლო საკმარისად წარმოეჩინა იურიდიული ცოდნა ან ერთგულება მიუკერძოებლობისადმი. ჩვენ ვწუხვართ, რომ დღეს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ სიაში ეს ნომინირებული კანდიდატებიც არიან.

სასამართლო დამოუკიდებლობა უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, არის დემოკრატიის გარანტი და ეკონომიკური ზრდის ქვაკუთხედი.

იმისათვის, რომ საქართველოს სასამართლო სისტემამ მოიპოვოს უფრო მეტი ნდობა, ჩვენ ვურჩევთ პარლამენტს და ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს, რომ დამატებითი კანდიდატების შერჩევამდე რეაგირება მოახდინონ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში დაფიქსირებულ ხარვეზებზე.

ამასთან, იმ მღელვარების გათვალისწინებით პარლამენტში, რაც თან ახლდა დღევანდელ კენჭისყრას, მოვუწოდებთ ყველა მხარეს, რომ შეინარჩუნონ სიმშვიდე და იმოქმედონ თავაზიანობისა და კონსტრუქციულობის ფარგლებში“, – ნათქვამია განცხადებაში.

# „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ოთარ ჩრდილელმა სადეპუტატო მანდატი დატოვა

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა ოთარ ჩრდილელმა სადეპუტატო მანდატი დატოვა. ამის შესახებ ინფორმაცია მან საკუთარ ფეისბუკგვერდზე დაწერა.



„ერთი წელია, ვცდილობთ რომ არ დაზიანდეს სასამართლოს იმიჯი. მთელი ეს პერიოდი კონკრეტულად ამ საკითხზე ბევრჯერ შეიკრიბა გუნდი, ვცადეთ უდანაკარგოდ მიგვეღო გადაწყვეტილება და მივსულიყავით კონსენსუსამდე. რა შედეგიც დადგა, ყველამ ერთად ვნახეთ. შესაძლოა, მე ვცდები და ზედმეტად მუქ ფერებში ვხედავ(დი) მოსამართლეთა დუჟინას. და რა იქნება მომავალში? – არც არაფერი, უბრალოდ, მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავტოვო დეპუტატის მანდატი.

ჩემთვის, ორი მოწვევის დეპუტატისთვის, მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნე ინდივიდუალიზმი და (არა შაბლონური) მადლობა „ქართულ ოცნებას“, რომ მთელი რიგი სენსიტიური საკითხებისადმი გუნდის წევრებს გვქონდა პლურალისტური მიდგომა.

გარედან, შესაძლოა, ჩანს, რომ ყველაფერი ერთ ხმაში, ხავერდოვნად მიდის, მაგრამ, მერწმუნეთ, შიგნით დუღილის ტემპერატურა ძალიან მაღალია.

მე არ მქონდა მორალური უფლება, რომ „ქართული ოცნების“ პროპორციული სიით შესულს დამეტოვებინა უმრავლესობა და პარლამენტში სხვა ფრთაზე გავმაგრებულიყავი.

თითქმის ერთი წლით ადრე ვტოვებ პარლამენტს, სადაც შევიძინე მეგობრები, გამოცდილება და შაქარი.

არასოდეს გამიწყვეტია კონტაქტი მოსახლეობასთან და ამით ვამაყობ. პირადად ვინც მიცნობს, იცის, რომ ჩემთვის ღირებულია ადამიანი, კანონი, მორალი, პატიოსნება.

კიდევ ერთხელ – ყველას მადლობას მოგახსენებთ, უდიდესი ნდობისთვის. წარმატებებსა და ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ მრავალჟამიერ. ღმერთი ჰფარავდეს დედა-სამშობლოს“, – წერს ოთარ ჩრდილელი.

# გ.ს. და ლ.ნ. თურქეთის 2 მოქალაქეს პოლიციელებად გაეცნნენ და 20.000 დოლარს სძალავდნენ

## სპეცოპერაცია ცინცაძის ქუჩაზე



11 დეკემბერს, საღამოს, ცინცაძის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად პოლიციამ 2 პირი დააკავა, რომლებიც თურქეთის 2 მოქალაქეს 20.000 დოლარს სძალავდნენ.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით თბილისში 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიულ საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით თბილისში 2 პირი: 1966 წელს დაბადებული გ.ს. და 1974 წელს დაბადებული ლ.ნ. დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები თურქეთის რესპუბლიკის 2 მოქალაქეს როგორც პოლიციის თანამშრომლები, გაეცნნენ, მოატყუეს, თითქოს ერთ-ერთი მათგანი ინტერპოლის მიერ ძებნილთა სიაში იმყოფებოდა და მუქარით ცდილობდნენ 20.000 აშშ დოლარის გამოძალვას.

პოლიციამ დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“.

# ნიკა მელიას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა



გუშინ, 12 დეკემბერს, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ნიკა მელიას სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა.

ნიკა მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარი 88-მა დეპუტატმა დაუჭირა.

საკითხს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დააყენა, რაც ბანკი „ქართუს“ გაკოტრების საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნაწილში მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნა მიღებული.

ნიკა მელიას 25.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა, ასევე დამატებით სასჯელად 2 წლითა და 3 თვის ვადით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა.

# აკაკი ბობოხიძე: „არ გამიკვირდება, თუ „ოცნება“ პარლამენტში სუნზე საქმეს ტერაქტის მუხლით აღძრავს“

## „როცა ჟურნალისტებს მანდატურები დარბაზიდან ყრიდნენ, რამდენიმე მათგანს თვალზე ცრემლი ჰქონდა“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ პარლამენტში პოლიტიკურად ძალიან დატვირთული დღე იყო. უზენაესი მოსამართლეების სია განიხილეს, პარალელურად კი აქცია-პერფორმანსი მიმდინარეობდა პარლამენტთან, სადაც 14 ადამიანი დააკავეს. პარლამენტში კი პროცესი კიდევ უფრო დაძაბული იყო. იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, სადაც 20-კაციანი სიიდან 14-ს რეკომენდაცია მისცეს, ჟურნალისტები ძალის გამოყენებით სხდომათა დარბაზიდან გააძევეს.

მოგვიანებით უკვე პროცესი სხდომათა დარბაზში გაგრძელდა, თუმცა პარლამენტის სხდომა მალევე შეწყდა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, დარბაზში დაასხეს სითხე, რამაც მძაფრი სუნი გამოიწვია და რამდენიმე ადამიანი ცუდადაც კი გახდა. ხელისუფლებამ ხელი ოპოზიციისკენ გაიშვირა და ირმა ნადირაშვილი და ლელა ქებურია დაადანაშაულეს დესტრუქციულ ქმედებაში, რომლებიც პასუხისმგებლობას არ იღებენ. უმრავლესობის ზოგიერთი წევრი კი ტერაქტის მოწყობაზე ალაპარაკდა. ბოლოს პლენარული სხდომა გაგრძელდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, უზენაესის კანდიდატების უმეტესობა – 14 წევრი დაამტკიცეს, მათ შორის 12 ახალი, ხოლო 2-ს უფლებამოსილება გაუგრძელდა. ყველა მათგანი სამუდამო ვადით გაამწესეს უზენაესში.

პარლამენტში და პარლამენტს გარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ წევრი **აკაკი ბობოხიძე** საუბრობს:



***– როგორ აფასებთ პარლამენტში განვითარებულ პროცესებს? დავიწყოთ იურიდიული კომიტეტიდან, სადაც თითქოს რამდენიმე ფიგურას არ დაუჭირეს მხარი, მაგრამ კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია ოდიოზურ ფიგურებს და პლენარულ სხდომაზეც დაამტკიცეს. რას დაუპირისპირებთ ამას?***

– „ქართული ოცნება“ ახლა ისეთ ფაზაშია, რომლის მიმართაც რამის დაპირისპირება შეუძლებელია, გარდა საზოგადოებრივი აზრისა და საპროტესტო გამოსვლებისა. დანარჩენზე, იმედი მაქვს, რომ საქართველოს მოსახლეობა გააკეთებს სათანადო შეფასებას და წერტილს დაუსვამს. ყველაფერ ამას წერტილი უნდა დაუსვას ქართველმა ამომრჩეველმა.

***– როგორ და რა ფორმით?***

– არჩევნებზე, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის გონიერებისა და ხელისუფლების გონიერების იმედი აღარ არსებობს. სრულ უგუნურებაში არიან გადავარდნილი და ხელისუფლების დაკარგვის შიშით აბსოლუტურად არაადეკვატურად იქცევიან.

***– მოსამართლეების თემას რაც შეეხება, ეს გაცილებით ადრე იყო ჩაფიქრებული, ვიდრე „ქართული ოცნება“ ბოლო წერტილამდე მივიდოდა. ამაზე რა პასუხი გაქვთ?***

– ბუნებრივია, გაცილებით ადრე იყო ჩაფიქრებული, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყნის პრივატიზებას აპირებს და ახდენს ყოველწლიურად და ყოველდღიურად ამას. ელემენტარულ მაგალითს მოვიყვანდი, ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ გერმანიის ახალ ხელისუფლებას რომ ყველაფერი ცუდი გაეკეთებინა და გადაეღო ის, რაც ფაშისტურ გერმანიას ჰქონდა, ბუნებრივი მემკვიდრეები იქნებოდნენ მისი და ჩვეულებრივი ფაშისტები გახდებოდნენ. დღევანდელმა ხელისუფლებამ კი ყველაფერი ცუდი გააგრძელა, რაც ჰქონდა წინა ხელისუფლებას. ამიტომ ისინი პირდაპირი მემკვიდრეები არიან წინა ხელისუფლების დროს გაკეთებული ცუდი საქმეების. მას არ უნდა წინა ხელისუფლების დროს ნაკეთებ ცუდ საქმეებზე პასუხისმგებლობის აღება, მაგრამ აგრძელებს იმ საქმეს და ყველაფერი გადმოიბარა, ხოლო რაც კარგი იყო, არაფერი არ გადმოიტანეს, ცუდი საქმეები კი გაააათმაგეს.

***– იმ პროცესს როგორ აფასებთ, რაც ვნახეთ იურიდიულ კომიტეტში ჟურნალისტებთან მოქცევის თვალსაზრისით?***

– არა მარტო ეგ ვნახე, არამედ ვნახე ბატონი თალაკვაძის შეფასებებიც, როდესაც ის გაურბის კითხვებზე პასუხს. როდესაც მას ჰკითხეს, რა ტიპის პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, აქ მან წარმოთქვა სადღეგრძელოები, რომ ჟურნალისტებს ხელი არ შეეშლებათ. ჟურნალისტებს ხელი უკვე შეეშალათ საკუთარ საქმიანობაში.

ჩვენ დავინახეთ, როგორ გაჰყავდათ ჟურნალისტები ძალით დარბაზიდან მანდატურებს და მანდატურის სამსახურის უფროსს. აბსოლუტურად გაუგებარია, ვინ და რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. რანაირად მოახერხეს ის, რომ ჟურნალისტები გააძევეს კომიტეტის სხდომათა დარბაზიდან?!

***– ამაზეც გვეუბნებიან, რომ ეს არ ყოფილა ჩაფიქრებული და ეს არ ყოფილა ვინმეს დირექტივა. ეს რამდენად დამაჯერებელია იმ ფონზე, როდესაც მანდატურები თვითნებურად ვერ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას?***

– რა თქმა უნდა, ვერ მიიღებდნენ და არც მიუღიათ მათ ეს. მე ვიცნობ მანდატურებს. ეს ადამიანები წლების განმავლობაში იცნობენ ამ

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## მშობლებო, სკოლებში ლგბტ ესეების კონკურსი ტარდება!

# საქართველოს მთავრობა, განათლების სამინისტრო ბილწი მამათმავლობის ღია პროპაგანდაში არიან ჩართული!

განათლების სამინისტრო ევროსაბჭოს საქართველოს სოდომიტურ ოფისთან ერთად უკვე დაუფარავად იჭრება ჩვენს ოჯახებში, რათა ეს უბილწესი საძაგლობა, მყრალი ჰომოსექსუალიზმი მისაღები და ნორმა გახადოს ჩვენს შვილებში, მომავალ თაობაში.

ამ მიზნით, ისინი პირდაპირ სთავაზობენ (ავალებენ) სკოლებს, ჩაატარონ ლგბტ ტრენინგები, ხოლო დამატებით, თავის მხრივ, ა.წ. 14 დეკემბრამდე აწყობენ ესეების კონკურსს (15-18 წლის ბავშვებში) თემაზე „მე ვირჩევ თანასწორობას".

ამ კონკურსში შენიღბული ტერმინების გვერდით, როგორებიცაა „ტოლერანტობა, თანასწორობა, განსხვავებულობა, მულტიკულტურალიზმი და ა.შ.", უკვე პირდაპირ წერენ, რომ **სამართლიანად და თანაბრად, აღიარებით და პატივისცემით** სხვა ბუნებრივ უმცირესობებთან ერთად უნდა მოვეპყრათ ბილწ ჰომოსექსუალობასაც, ანუ ადამიანის გარყვნილებას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით, თორემ, სხვა შემთხვევაში, ეს მათ დისკრიმინაციაში ჩაგვეთვლებაო:

**„თანასწორობა და მრავალფეროვნება, იგივე მულტიკულტურალიზმი, ადამიანებს შორის განსხვავებულობის ხელშეწყობა და მიმღებლობაა. უფრო კონკრეტულად, თანასწორობის არსი იმაში გამოიხატება, რომ ყველა ადამიანის მიმართ, მიუხედავად მისი „რასისა", ეთნიკური/ეროვნული წარმომავლობისა, კანის ფერისა, მოქალაქეობისა, რელიგიისა, ენისა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა, მოვეპყრათ სამართლიანად და თანაბრად. მრავალფეროვნება ამ განსხვავებულობათა აღიარება და პატივისცემაა, ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით." (განათლების სამინისტროს გვერდი, ესეების კონკურსისთვის „მე ვირჩევ თანასწორობას.")**

ეს ის დისკრიმინაციაა, ის ანტიდისკრიმინაციული კანონია, საიდანაც ერი თუ ბერი, პირადად პატრიარქი დაჟინებით ითხოვს ამ ჰომოსექსუალური ტერმინების („სექსუალური ორიენტაციისა" და „გენდერული იდენტობის") კანონიდან ამოღებას.

მისმა უწმინდესობამ დასძინა, რომ „უკანონობის დაკანონება დიდი ცოდვაა და არც ერთი მორწმუნე არ დაემორჩილება ამ კანონს".

თუმცა ამის საპირისპიროდ ევროსტრუქტურებმა, სწორედ იმ ძალებმა, ვინც დღეს ჩვენს მოღალატე მთავრობასთან ერთად ატარებს ლგბტ ესეების კონკურსს ჩვენს სკოლებში, მისი უწმინდესობის წინააღმდეგ აქეთ გაილაშქრეს და დაადანაშაულეს ჩვენი პატრიარქი „სიძულვილის ენით საუბარში":

**„37. სიძულვილის ენა გამოიხატა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ საჯარო ღონისძიებათა წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე – მაგალითად, 2013 წლის მაისში (იხ: თავი I.3). საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ლგბტ ღონისძიებებს „ქართველი ერის შეურაცხყოფა", ჰომოსექსუალიზმს კი „დაავადება" უწოდა" („ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ – მოხსენება საქართველოს შესახებ", გვ. 21).**


გურამ ფალავანდიშვილი

დღეს უკვე საქართველოს მთავრობა, მისი განათლების სამინისტრო ერთგვარ პლაცდარმად იქცა ლგბტ იდეოლოგიის ბინძური ჯგუფების სათარეშოდ.

სწორედ განათლების სამინისტრომ გააფორმა დამღუპველი ხელშეკრულება 2017 წლის 15 მაისს ბავშვებში ლგბტ პროპაგანდის გაძლიერების მიზნით შვედეთის მთავრობასთან (მამათმავლური სიბილწის გავრცელების კუთხით ევროპაში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყნის მთავრობასთან).

სწორედ განათლების სამინისტრომ გააფორმა დამღუპველი ხელშეკრულება ბილწ ლგბტ ორგანიზაცია „საფართან", რომლის ხელმძღვანელიცაა პედერასტიის ცნობილი ზონდერი ბაია პატარაია.

სწორედ განათლების სამინისტროსა და ევროსაბჭოს ეგიდით ეწყობა დამღუპველი ლგბტ ტრენინგები ჩვენს შვილებთან ზაფხულის საბავშვო ბანაკებში საქართველოს მთელი მასშტაბით (აქ ტრენერად მოწვეული ჰყავდათ ღია ჰომოსექსუალი კობა ბიწაძე, რომელიც, ერთი მხრივ, თავს იწონებს საზაფხულო ბანაკებში ტრენერობით, ხოლო მეორე მხრივ – ღია სექსით სხვა მამაკაცთან ტაძრის ეზოში).

სწორედ განათლების სამინისტრო უწევს რეკომენდაციას პედაგოგებს, რათა მათ ჩვენი შვილების „აღზრდის საკითხში" (ბავშვებთან ლგბტ ტრენინგებისას) იხელმძღვანელონ, მაგალითად, ევროსაბჭოს მიერ მოწოდებული უბინძურესი კარგად ცნობილი სახელმძღვანელო „კომპასიტოთი":

(ქალობისა და კაცობის როლების აღსაღრევად)

**„იყო და არა იყო რა...**

**ნახე, რა ხდება, როდესაც ცნობილი ზღაპრის პერსონაჟებს სქესს შეუცვლი.**

**თემები – დემოკრატია, დისკრიმინაცია, გენდერული თანასწორობა.**

**სირთულის დონე – მეორე დონე.**

**ასაკი – 7-13 წელი.**

**ხანგრძლივობა – 40 წუთი.**

**ჯგუფის სიდიდე – 8-15 ბავშვი.**

**სავარჯიშოების ტიპი – ამბის თხრობა, დისკუსია.**

**სავარჯიშოს აღწერა – ცნობილი ზღაპრის მოყოლა, რომელშიც პერსონაჟებს სქესი აქვთ შეცვლილი, რასაც გენდერულ სტერეოტიპებზე დისკუსია მოჰყვება" (გვ. 112).**

(ერთსქესიანი „ქორწინების" გასამართლებლად)

**„ოჯახი და ალტერნატიული მზრუნველობა**

**რა არის ოჯახი?**

**„ტრადიციული" ოჯახის გარდა, რომელიც გულისხმობს დაქორწინებულ მშობლებსა და ბიოლოგიურ ბავშვებს, ევროპელები სხვა ოჯახებადაც ცხოვრობენ, როგორიცაა: ოჯახი, რომელიც ერთი სქესის მშობლებისგან შედგება" (გვ. 231).**

„კომპასიტოს" გარდა, ევროსაბჭო, რა თქმა უნდა, ამ ტიპის სხვა ათასნაირი სახელმძღვანელოთი წარმართავს პედაგოგების მომავალ აქტივობებს. კერძოდ:

**„გენდერი**

**წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რისი შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით – ტანისამოსს, ვარცხნილობას და, შესაძლოა, სამკაულს. შესაძლოა, აგრეთვე ადამიანებთან ქცევის მანერის შეცვლაც მოგიწიოთ" (სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო, მარგარეტ ანდერსენი და ჰოვარდ ტეილორი, გვ. 105).**

გარდა თეორიული აქტივობებისა, პედაგოგებს აგრეთვე რეკომენდაცია ეძლევათ (ავალდებულებენ), გადავიდნენ ჩვენს შვილებთან მიმართებით პრაქტიკულ მეცადინეობებზეც; კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ რეკომენდაციაში შავით თეთრზე წერია:

**„მოქმედებაზე გადასვლა**

**დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებულ ჰომოსექსუალისტების ან ლესბოსელების საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზაა. მოიწვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ, რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენს ქვეყანაში" (გვ. 189).**

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, სამი არასამთავრობო ორგანიზაცია, ვითხოვთ, სასწრაფოდ გადადგეს განათლების მინისტრი ბ-ნი ჩხენკელი და ასევე დადგეს პრემიერ-მინისტრ ბ-ნი გიორგი გახარიასა და „ქართული ოცნების" თავმჯდომარის, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი.

შორს სიბინძურესა და სიბილწეში გასვრილი ხელები ჩვენი შვილებისგან!!!

**გურამ ფალავანდიშვილი**
**„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება"**

**გიორგი ქუთათელაძე**
**„საქართველოს პედაგოგთა ასოციაცია განათლება და ზნეობა"**

**დავით ლორთქიფანიძე**
**ახალგაზრდული ცენტრი „ზნეობა"**

2019, 13 დეკემბერი, №295

# ლევან ხაბეიშვილი: „ეს პარლამენტი კი არა, ივანიშვილის ზოოპარკია!“

## „სახელმწიფოს აშენება გვინდა და ისევ მურუსიძე და ჩინჩალაძე უნდა იყვნენ?! ვერ იქნებიან!“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

***— ლევან, პარლამენტთან 16 პირი დააკავეს, მათ შორის ოპოზიციონერი ლიდერები. „ოცნება“ უარს არ ამბობს საკუთარ ზრახვებზე. რა პროცესები მიმდინარეობს, რა ხდება?***

— ნაცმოძრაობის მმართველობის დროს ხომ ვამბობდით, რომ მოსამართლეებთან დაკავშირებით დიდი პრობლემა იყო. ამას იმ დროს თავად „ოცნება“ ამბობდა, ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, რომ სასამართლოს კუთხით სერიოზული პრობლემებია. მე ვამაყობ იმით, რომელ გუნდსაც წარმოვადგენ. მიუხედავად ამისა, ვაცხადებ, რომ შეცდომებიც ჰქონდათ, თუმცა ძალიან ბევრი გააკეთა.

***— სწორედ იმდროინდელი მოსამართლეები არიან, რომლებსაც ასე მწვავედ აპროტესტებდა მაშინ „ოცნება“.***

— კი ბატონო, მეც მანდ ვარ. ჩვენ შევქმენით პოლიცია, ჩვენ გავმართეთ სახელმწიფო სტრუქტურები, ჩვენ შევქმენით ჯარი, ჩვენ მოვსპეთ კორუფცია, იუსტიციის სახლები ავაშენეთ, ქალაქები ვაშენეთ, შუქი მოვიყვანეთ ქვეყანაში, გზები დავაგეთ და შევქმენით სახელმწიფო, თუმცა არც იმის აღიარება გვიჭირს, რომ სასამართლო სისტემა იყო აქილევსის ქუსლი წინა ხელისუფლების დროს.

სამართალთან დაკავშირებით 2012 წელს იყო უდიდესი პროტესტი და ქართველმა ხალხმა გააკეთა ის არჩევანი, რომელიც გააკეთა. ახლა 2019 წელია კალენდარზე და რა ხდება?!

***— თქვენ უპირისპირდებით თქვენივე მოსამართლეებს.***

— დიახ, ჩვენ ვამბობთ, რომ გვქონდა პრობლემები, კი, ეს მოსამართლეები დავალების შემსრულებლები იყვნენ და ისინი არ არიან კარგი მოსამართლეები. ვამბობთ, რომ ჩვენ შეგვეშალა ამ მიმართულებით და „ოცნება“ რას ამბობს?!

ისინი გვეუბნებიან, არა, თქვენ არაფერი შეგშლიათ, ესენი კარგი მოსამართლეები არიან და მეტიც, უვადოდ უნდა დავნიშნოთ ეს მოსამართლეები. ეს მოსამართლეები არის დიდი პრობლემა, არ შეიძლება ამ მოსამართლეების დანიშვნა.

***— დიპლომიც კი ყალბი აქვს თადუმაძესო.***

— თადუმაძე ხომ საერთოდ ცალკე ამბავია. ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატი რომ პროკურორია და პირადი სტომატოლოგი რომ ჯანდაცვის მინისტრია, ეს კიდევ სხვა თემაა.

ამ ხალხმა მთლიანად გადაიბარა ის მოსამართლეები, რომლებიც დავალების შემსრულებლები იყვნენ.

***— რატომ აირჩიეს ასეთი მოსამართლეები, რომ მარტივად მართონ?***

— ადამიანზე რომ კომპრომატები გაქვს, ის რომ მორალურად წამხდარია, მისი მართვა არის ძალიან ადვილი. უკაცრავად, მაგრამ ხაბეიშვილს ბიძინა ივანიშვილი ვერ დააშანტაჟებს ვერაფრით! არც ქრთამი ამიღია არასდროს, არც ვინმეს მონა ვყოფილვარ და არც არავის დავალება შემისრულებია.

***— მიუხედავად ამხელა პროტესტისა, „ოცნება“ ცდილობს, თავისი გაიტანოს.***

— გააქვს ძალიან მარტივი მიზეზის გამო, ეს ხალხი დგას კრიმინალებზე. უკაცრავად, მაგრამ ამ მოსამართლეებს მთელი 7 წლის განმავლობაში რა საქმეები შეაკერინეს?! ესენი დგანან ამაზე! იციან, რომ ხვალ-ზეგ კიდევ დასჭირდებათ ეს მოსამართლეები, დასჭირდებათ ოპონენტების დაჭერა.

ოქრუაშვილი რატომ ზის ციხეში? რურუა რატომ ზის ციხეში?! პოლიტიკურ ოპონენტებს რატომ დევნიან და მოსამართლეები რატომ აწერენ ყველაფერზე ხელს?! პირადად ჩემს პოლიტიკურ გემოვნებაში არ ჯდება ირაკლი ოქრუაშვილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვთქვა სიმართლე.

***— რა სიმართლე?***

— ის, რომ ეს ადამიანი დღეს არის პოლიტიკური დევნილი! ის პოლიტიკური ნიშნით იდევნება. ეს როგორ შეიძლება, რომ არ ვთქვა?! აი, ეს არის პოლიტიკური დევნის კლასიკური მაგალითი. იგივე გიორგი რურუა, ესეც არის პოლიტიკური პატიმრობის კლასიკური მაგალითი.

იმავე ნიკა მელიას საქმე რომ ავიღოთ, სასამართლოში ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით ხდება სამართლის აღსრულება. წინასაახალწლო საჩუქარს უკეთებენ ბიძინა ივანიშვილს, ნიკა მელიას აგდებენ პარლამენტიდან.

აი, ამ მონა მოსამართლეებს გვინიშნავენ უვადოდ. ამ მონებს კიდევ ბიძინამ დაუმატა მისი პირადი ადვოკატი თადუმაძე,, რომელსაც არც დიპლომი აქვს და ისეთ ინსტიტუტში სწავლობდა, სადაც ჯერ ჩააბარა და მერე დაარსდა. სახელმწიფოს აშენება გვინდა და ისევ მურუსიძე და ჩინჩალაძე უნდა იყვნენ?! ვერ იქნებიან!

ამაზე მარტო ჩვენ ხომ არ ვსაუბრობთ, ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მითხარით, რომელიც ამბობს, რომ არა, ეს მოსამართლეები კარგია. ან ერთი პოლიტიკური პარტია მითხარით, რომელიც ამას ამბობს, „ქართული ოცნების“ გარდა.

ამ კაცმა დააყენა ის რეალობა, რომ ყველა მინუს ბიძინა ივანიშვილი! პროდასავლელი და პრორუსიც კი ერთად დააყენა.

***— რამდენ ხანს გაუვა ეს ძალადობრივი მეთოდები „ოცნებას“?***

— „ოცნებას“ დიდი ხანია, დაწყებული აქვს ეს ძალადობა. თვალები დასთხარეს ახალგაზრდებს და გახარია პრემიერად დაგვინიშნა, მერე ღარიბაშვილი მოაბრუნა, მიუხედავად იმისა, რომ კორუფციაში თავადვე ამხილა. დაგვპირდა და ნახეთ, ყველა როგორ გადაგვაგდო საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

ახლა გვეუბნება ხელების გადაგრეხით, ამ მოსამართლეებსაც დაგინიშნავთ, მელიასაც გამოვაგდებ პარლამენტიდანო. აგერ უგულავა და გაბაშვილი ბევრს იჭაჭებიან და მათზეც სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავო. დაგიჭერ და გაგაჩუმებო.

ზუსტად ის მეთოდებია, რაც პუტინის რუსეთში ხდება. ივანიშვილი რომ დასავლეთისა და ვაშინგტონის მეთოდებით არ იმოქმედებს, ეს გასაგებია. რაც გაუგია და უსწავლია, იმას აკეთებს. რასაც აკეთებს პუტინი თავის რუსეთში, იმას აკეთებს ივანიშვილი საქართველოში.

***— რამდენ ხანს შეინარჩუნებს ამ სიტუაციას? როდემდე დაიჭერს პროცესს?***

— ვერ დაიჭერს, წარმოუდგენელია! მოყანყალებულები არიან. ნახეთ, რამდენი დეპუტატი გაექცათ. ვინც ოდნავ მაინც იყურება მომავლისკენ, ბიძინა ივანიშვილთან საერთო აღარ უნდათ. ძიძიგური რომ ძიძიგურია, იმასაც აღარ უნდა, ხალხო. მასაც კი, რომელიც აქამდე ყველაფერზე ხელის მომწერი და ყველაფრის გამფორმებელი იყო, მასაც კი აღარ უნდა!

რატომ ვიბრძვით? ძალიან მარტივი რამის გამო — ვინ იქნება ხელისუფლებაში, ეს გადაწყვიტოს ქართველმა ხალხმა. მორჩა, წერტილი! ჩვენ გვინდა სამართლიანი, პროპორციული არჩევნები.

ივანიშვილმა საქართველოს პარლამენტი დაამსგავსა საკუთარ ზოოპარკს! დღეს საქართველოს დეპუტატები აღარ ჰყავს, ჰყავს ბიძინა ივანიშვილის ზებრები, პინგვინები და ლეიმურაზები.

ეს დეპუტატები გვარებითაც აღარ უნდა მოვიხსენიოთ. კოლექტიური ზოოპარკია პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო ივანიშვილის ამ ზოოპარკის დირექტორი არის კალაძე, პატარა ლეიმურაზი, რომელიც არის გამხმოვანებელი ამ ყველაფრისა!

# აკაკი ბობოხიძე: „არ გამიკვირდება, თუ „ოცნება“ პარლამენტში სუნზე საქმეს ტერაქტის მუხლით აღძრავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჟურნალისტებს და მათთან ადამიანურად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ამიტომ ვიცი, რომ ადამიანურად ძალიან გაუჭირდათ იმის გაკეთება, რაც მათ გააკეთეს. ისიც კი მითხრეს, რომ რამდენიმე მათგანის თვალზე ცრემლიც კი დაინახეს და ამას არ ვლაპარაკობ პათეტიკურად, მართლა ასე იყო.

ეს ნიშნავს ერთ რამეს, რომ გადაწყვეტილება მიიღეს არა თვითნებურად მანდატურებმა, არამედ ვიღაც პირმა, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ვინმე ერთმა რიგითმა პირმა კი არა, არამედ მან, ვისაც აქვს ამის შესაძლებლობა. ეს, სავარაუდოდ, იქნებოდა ან კომიტეტის თავმჯდომარე, ან მანდატურების სამსახურის უფროსი.

***— მთელი დავიდარაბა მოჰყვა სხდომათა დარბაზში რაღაც სითხის დასხმასა და სუნს, რომელზეც აპელირებდა „ქართული ოცნება“. ზოგმა ტერაქტადაც კი შეაფასა და ათასგვარი ინტერპრეტაცია მოჰყვა. რა მოხდა?***

— არ ვიცი, ვინ რა დაასხა და რა სუნი იყო, მაგრამ ეგეც ძალიან სასაცილოა, როდესაც რაღაც მსგავსი ტიპის მოქმედებას ტერაქტად აფასებენ. ამ დროს თვითონ მართლა ტერაქტებს ჩადიან და მართლა თავს ესხმიან პოლიტიკოსებსა თუ დეპუტატებს. თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ამ ხელისუფლების ამგვარი შეფასებები არ მიკვირს. რაც ვნახეთ დღეს დილით, რომ აქციაზე დააკავეს ადამიანები და მით უმეტეს იმ ფონზე, რაც მოხდა 11 დეკემბერს, რომ თურმე გიგი უგულავამ სცემა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელს (თუ სწორად მახსოვს მწვრთნელია) და საერთაშორისო შედეგების მქონე სპორტსმენი. ამის შემდეგ ამ ხელისუფლებისგან არაფერი აღარ მიკვირს. რაღა უნდა გამიკვირდეს ამათგან, ამას, უბრალოდ, ვერ ვხვდები. სიმართლე რომ ვთქვა, ასეთი რაღაცები ამ ხელისუფლებისგან უკვე დიდი ხანია, აღარ მიკვირს. უბრალოდ, ეს ხელისუფლება ჩემთვის უკვე ძალიან სასაცილო, მარაზმის მდგომარეობაშია და, დარწმუნებული ვარ, ის მალე დასრულდება.

***— ნახევრად ხუმრობით გკითხავთ, გაქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა, ტერაქტის მუხლითაც კი აღძრან საქმე?***

— თუ გავიხსენებთ რამდენიმე თვის წინ მომხდარ ამბავსა და რუსთაველზე კარვების დადგმაზე სახელმწიფო მუხლით აღძრულ საქმეს, ამ ფონზე არც ეგ არის გამორიცხული, მაგრამ, რაც უფრო მეტ სისულელეს გააკეთებს ეს ხელისუფლება, მით უფრო სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდება.

***— ბოლოს გვითხარით, გველოდება თუ არა პოლიტიკური ახალი წელი?***

— განსაკუთრებით 2020 წელი თავისი დატვირთვით სხვა მნიშვნელობისაა და, რა თქმა უნდა, გველოდება, მათ შორის უშუალოდ ახალი წლის ღამეს და, რაც ყველაზე მთავარია, მთლიანად ახალი წელი იქნება პოლიტიკურად დატვირთული. იმედი მაქვს, ეს წელი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დასრულების წელი იქნება.

# ბაჩუკი ქარდავა: „ივანიშვილმა უნდა დათმოს“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **ბაჩუკი ქარდავა** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო ბაჩუკი, თქვენ როგორ შეაფასებთ პარლამენტში განვითარებულ მოვლენებს?***

— საქართველოს პარლამენტი, სადაც ხალხის რჩეულები არიან წარმოდგენილი და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს კანონებს იღებენ, წესით, ხალხის ნების გამომხატველი უნდა იყოს, თუმცა ეს ინსტიტუტი დღეს არ ეყრდნობა საქართველოს მოქალაქეების ნებას.

„ქართული ოცნება“ ამოფარებულია ძალოვან სტრუქტურებს და უწევს სირცხვილის დერეფნების გავლა. ეს არ არის პოლიტიკა, ეს უმრავლესობა არ არის ხალხის ნების გამტარებელი, ის არ ეყრდნობა ხალხს, ისინი ბიძინა ივანიშვილის ნების გამტარებლები არიან, ისინი ბიძინა ივანიშვილს ეყრდნობიან.

ამიტომ შეუძლებელია, ამ პარლამენტმა დიდხანს გასტანოს.

***— შეიძლება, დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნები დადგეს?***



— არაფერს გამორიცხავ, თუმცა პროგნოზის გაკეთება მაინც მიჭირს, ისეთი ელვის სისწრაფით ვითარდება მოვლენები. ოპოზიციის ერთ-ერთი მოთხოვნა პროპორციული ვადამდელი არჩევნებია, მაგრამ დღეს ისეთი რეალობაა ქვეყანაში შექმნილი, რა იქნება ხვალ, პროგნოზის გაკეთება ძნელია.

მთავარია, ბიძინა ივანიშვილმა უკანონოდ არ მიიტაცოს ძალაუფლება. რასაკვირველია, ამ პოლიტიკური კრიზისის დაძლევა საჭიროა. ექნება პოლიტიკური ნება ივანიშვილს, დაძლიოს ეს კრიზისი, მაშინ უნდა წავიდეს დათმობაზე, უკან უნდა დაიხიოს.

თუ არ აღმოაჩნდება მას ეს ნება, მაშინ იარსებებს ხალხის ნება.

ვნახოთ, როგორი იქნება ხალხის ნება.

# მიაღწევენ თუ არა ჟენევის მოლაპარაკებებზე ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლებას?

## ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი უფრო აგრესიული გახდა

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 50-ე რაუნდზე ერთ-ერთი მთავარი თემა ცხინვალში დატყვევებული უდანაშაულო ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის გამოხსნა გახდა. მისი ტყვეობიდან გათავისუფლება ერთდროულად მოითხოვეს ევროკავშირმა, აშშ-მ, ეუთომ და გაერომ.

საქართველოს დელეგაციამ დასავლელ მონაწილეებთან ერთად დაგმო თვე-ნახევრის წინ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორების დაკავება და მისიისთვის ხელის შეშლა.

უმძიმესად შეფასდა ჰუმანიტარული მდგომარეობა როგორც ცხინვალის რეგიონის, ისე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ ახსენა ორივე რეგიონში ქართველების დისკრიმინაცია და შევიწროება, მათთვის გადმოსასვლელების ჩაკეტვა და მშობლიურ ენაზე სწავლის აკრძალვა, ასევე მავთულხლართების გაბმა.

50-ე რაუნდზე, წინა დისკუსიების მსგავსად, ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ რუსეთი არღვევს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. რუსეთის დელეგაცია, საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებთან ერთად, ისევ მოითხოვს დოკუმენტის მიღებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

რუსეთის დელეგაცია იმასაც მოითხოვს, რომ აფხაზურ და ოსურ წარმომადგენლობებს ჰქონდეთ წვდომა საერთაშორისო ორგანიზაციებზე, პირველ რიგში, გაეროში. მათთვის მიუღებელია ისიც, რომ საქართველოს ყოველწლიურად გაეროს გენერალურ ასამბლეაში შეაქვს რეზოლუციის პროექტი კონფლიქტურ ზონებში შექმნილ მდგომარეობაზე.

ცხინვალის რეჟიმს ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლება, ადრე თუ გვიან, მოუწევს. სხვა მხრივ, საოკუპაციო ადმინისტრაცია უფრო აგრესიული და თბილისის მიმართ შემტევი გახდა.

ჟენევის მოლაპარაკებების პარალელურად, ჩრდილოეთ ოსეთში რეჟიმის წარმომადგენლები რუსეთის ფედერაციის გენპროკურატურის წარმომადგენლებს ხვდებოდნენ. მოსკოველმა მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ შეშფოთებული არიან „საზღვრის მილიტარიზაციით სამხრეთ ოსეთის მიმდებარედ“. გენპროკურორის მოადგილემ აღნიშნა, რომ ეს პრობლემა კანონის ძალით უნდა გადაიჭრას. მას არ დაუზუსტებია, რა იურიდიული მექანიზმების ამოქმედებას აპირებენ მოსკოვი და საოკუპაციო ადმინისტრაცია.

ჟენევის მოლაპარაკებებს ცხინვალში კიდევ ერთი ღონისძიება დაემთხვა. რუსებისა და სხვა სტუმრების მონაწილეობით გაიმართა კონფერენცია საინფორმაციო ომის თემაზე.

როგორც ჩანს, გენოციდის საკითხი საინფორმაციო ომის შემადგენელია. კონფერენციის დიდი ნაწილი მიეძღვნა გენოციდს.

ოსური ვერსიით, ქართველებმა 100 წლის წინ მოაწყვეს ოსების გენოციდი. 2020 წლის ზაფხულში გათვალისწინებულია გენოციდისადმი მიძღვნილი სხვადასხვა აქტივობა. ცხინვალის რეჟიმი ამ საკითხზე ევროპის ინფორმირებასაც გეგმავს. იგეგმება სარჩელის მომზადებაც. ქართველების წინააღმდეგ სარჩელის მომზადებაში ცხინვალელ ოსებს დახმარებას იტალიელი იურისტები დაჰპირდნენ.

ამავე კონფერენციაზე ოსებმა ოფიციალური თბილისი დაძაბულობის ახალი ტალღის აგორებაში დაადანაშაულეს. მათი მტკიცებით, ამის მაგალითია ზნაურის რაიონის სოფელ უისტასთან, იმავე წნელისთან აღმართული ქართული ბლოკსაგუშაგო.

— ამ პროვოკაციებს განვიხილავთ, როგორც საქართველოს ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკის შედეგს „სამხრეთ ოსეთის“ მიმართ და დაძაბულობის ახალი ტალღის გაღვივების მცდელობას, — განაცხადა საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა.

ამ ფონზე, საერთაშორისო ორგანიზაციების, დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერის მიუხედავად, უსუსურად მოჩანს ოფიციალური თბილისის პოზიცია.

რუსეთის პრეზიდენტმა საქართველო აფხაზებისა და ოსების მიმართ აგრესიასა და გენოციდში რამდენიმე თვის წინ, ზაფხულში დაადანაშაულა. საქართველოს ხელისუფლებას ამაზე პასუხი არ გაუცია.

როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლების რეაქცია არც მაშინ იქნება, თუ რუსეთის პარლამენტის ორივე პალატა აღიარებს ოსების გენოციდს და არც იმ შემთხვევაში, თუ საოკუპაციო რეჟიმი შუაგულ ევროპაში მოაწყობს ანტიქართულ კონფერენციებს.

# მამუკა ტუსკაძე: „ციხეებზე ლომჯარიას განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება“

## სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმება არ შეიძლებოდა

გულიკო ბალაძე

**საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ განაცხადა, რომ დღეს ციხეებს კრიმინალური ავტორიტეტები მართავენ. რა მდგომარეობაა დღეისათვის ციხეებში? შეესაბამება თუ არა სახალხო დამცველის განცხადება სინამდვილეს? რატომ გააკეთა ნინო ლომჯარიამ აღნიშნული განცხადება? ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე საუბრობს.**



***– ბატონო მამუკა, საქართველოს სახალხო დამცველმა გააკეთა საგანგებო განცხადება, რომ საქართველოს ციხეებში არც ისე კარგი მდგომარეობაა, როგორც ჩვენ გვგონია და ციხეებს კრიმინალური ავტორიტეტები მართავენ. თუ გაქვთ ინფორმაცია ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე? როგორც ვიცი, თქვენ ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის წევრიც ხართ.***

– ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის წევრი აღარ ვარ. თუმცა, ბოლო დრომდე ამ კომისიის წევრი ვიყავი, პატიმარიც გახლდით, ამიტომ ვინ ვინ და მე კარგად ვიცი, პენიტენციურ სისტემაში რა ხდება და რა მოხდება.

***– მოკლედ, რა ხდება და კიდევ რა მოხდება?***

– სახალხო დამცველმა, მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ნინო ლომჯარიას მიმართ, ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა.

***– უპასუხისმგებლო განცხადება რატომ იყო?***

– განცხადება მოიცავდა შემდეგ შინაარსს: თითქოს ციხეებს უკვე ვეღარ მართავენ ციხის ადმინისტრაცია და შესაბამისი სახელმწიფო მოხელეები, თითქოს ციხეები იმართება არაფორმალურად, ციხის მმართველობა გადასცეს კრიმინალებს, რომლებიც ციხეებში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ, რაც სრული აბსურდია.

***– რატომ არის აბსურდი?***

– პირველ რიგში იმიტომ არის აბსურდი, რომ ციხეში ასეთი სახის ავტორიტეტები, რასაც ჰქვია, კანონიერი ქურდები არ არიან ჩვეულებრივ ზონებში. ისინი არიან ერთ, კონკრეტულ მეშვიდე დაწესებულებაში, მატროსოვზე, სადაც, შესაბამისად, 7 თუ 8 კაცი იხდის სასჯელს, მაგრამ ისინი სხვა პატიმრებთან კომუნიკაციას ვერ ახერხებენ.

***– შეიძლება კრიმინალური ავტორიტეტები არ სხედან მატროსოვის გარდა სხვა ციხეებში, მაგრამ ხომ შეიძლება გაჩნდნენ ავტორიტეტები, რომლებსაც ე.წ. მაყურებლებს ეძახიან.***

– „მაყურებლები“, როგორც ასეთი, არ არსებობენ. თუმცა, შესაძლებელია გაჩნდეს, მაგრამ როგორც კი ე.წ. მაყურებელი გამოიკვეთება, როგორც კი ამგვარ სტატუსს თვითონ პატიმრები მიანიჭებენ თავიანთი პატივისცემის გათვალისწინებით, ურთიერთობით, მაშინვე ხდება მისი ეტაპირება იმ დაწესებულებიდან მატროსოვზე.

თუ პირი გააგრძელებს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას და ე.წ. მაყურებელი გახდება, გამწესდება მე-7 ან მე-6 დაწესებულებებში. შემჩნევისთანავე ხდება მისი გადაყვანა, სხვა უფრო მძიმე დაწესებულებაში, სადაც რამდენიმე მსჯავრდებული ზის მსგავსი ქმედების გამო.

***– მატროსოვზე ხომ შს ორგანოებში და სხვა სახელმწიფო თანამდებობებზე ნამუშევარი პირები სხედან? მაგალითად, მერაბიშვილი და სხვები.***

– პოლიციელების და სხვა სახელმწიფო მოხელეების ციხე სადაც არის, იქ დიდი ეზოა და ახალი ციხე აშენდა მაყურებლების, ძველი ბიჭებისა და ქურდი ბიჭებისთვის. ბოლოს 7 პირი იჯდა, ახლა, მგონი, ათამდე არიან. შესაბამისად, პენიტენციური სამსახური ამის მობილიზებასა და ორგანიზებას ახერხებს. ამიტომ ლომჯარიას განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება.

თუ ვინმე გაბედავს და შეეცდება სტატუსი და გავლენა მოიპოვოს, იმ წუთშივე ხდება მისი იზოლაცია, ენიჭება მაღალი რისკის ჯგუფი და მკაცრ დაწესებულებაში გადაჰყავთ.

***– სახალხო დამცველს ჰყავს თანამშრომლები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ, იკვლევენ და მას აწვდიან ინფორმაციას. ნინო ლომჯარიამ გარკვეული ინფორმაციის მოპოვების, საკითხის შესწავლის გარეშე გააკეთა ეს განცხადება?***

– ის ინფორმაცია, რაც მე თქვენ გადმოგეცით, ლომჯარიასაც აქვს, მაგრამ სხვანაირი ინტერპრეტაცია გააკეთა. მე გეუბნებით, რომ ციხეა, კაცები ცხოვრობენ, ადამიანები ცხოვრობენ და რაღაც პერიოდში შეიძლება ვიღაცამ ლიდერის მანტია მოისხას, მაგრამ მისი გადაყვანა მომენტალურად ხდება.

ლომჯარიამ არ თქვა, ასეთი პირების იზოლირება რომ ხდება და პენიტენციური სამსახური რომ მუშაობს, ამაზე კომენტარი არ გააკეთა. მან არ თქვა, რომ თუ სადმე გამოიკვეთა მაყურებელი, თუ რომელიმე ზონაში გამოიკვეთა ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის მიმდევარი, მისი იზოლირება მაშინვე ხდება უფრო მკაც დაწესებულებაში გადაყვანით.

***– ნინო ლომჯარიამ ეს იცის და არ თქვა?***

– ლომჯარიამ ეს იცის. უბრალოდ, ვითარების შესახებ მოყვა, მაგრამ ბოლო მომენტზე არაფერი თქვა.

***– თუ სახალხო დამცველმა იცის, ბოლოს რა ხდება, როგორ ხდება კრიმინალური ავტორიტეტების იზოლირება და არ თქვა, მაშინ ისმება კითხვა, რას შეიძლება ემსახურებოდეს მისი განცხადება?***

– ლომჯარია არის იმ საერთო გუნდის წევრი, რომელიც საქართველოში დღეს ლამობს ხელისუფლების შეცვლას.

***– კონკრეტულად, რომელ ძალებზე საუბრობთ?***

– ვგულისხმობ, გარკვეულ დესტრუქციულ ძალებს. შეიძლება ეს არის რუსული, ან – ევროპული, ან კიდევ – ამერიკული ძალები, მაგრამ არა ქართული. არაქართული ძალების წარმომადგენელია ნინო ლომჯარია. შესაბამისად, მისი მიზანი ამჯერად არის დიადი და ნათელი, რომ საქართველოში შეცვალოს არსებული ხელისუფლება.

შესაბამისად, ნინო ლომჯარიას ეს პასკვილი გარკვეულ ჩირქს სცხებს ერთ-ერთ სტრუქტურას, ხელისუფლების ერთ-ერთ მიმართულებას, სასჯელაღსრულებას. ეს იყო მისი მიზანი, მეტი არაფერი.

***– პენიტენციურ სისტემას დღეს იუსტიციის სამინისტრო და თეა წულუკიანი ხელმძღვანელობს.***

– დიახ, დაპირისპირება აქვს თეა წულუკიანთან და ცდილობენ, თეა წულუკიანს ამ მიმართულებით ჩირქი მოსცხონ. 7-წლიან მმართველ გუნდში თეა წულუკიანის სამინისტროა ყველაზე ძლიერი რგოლი და მასზე მიდის მასობრივი შეტევა და შტურმი, რაც, მე მგონი, არ გამოუვათ.

***– რატომ არ გამოუვათ?***

– იმიტომ, რომ ყველაფერი კანონის ჩარჩოებში ჯდება. ყველაფერი კანონის ჩარჩოებშია. იმ პატიმრების უფლებებიც კარგად არის დაცული, ვინც რისკის მაღალ ჯგუფს წარმოადგენს. როგორც კი გამომჟღავნდებიან ძველი ბიჭები, მაშინვე ხდება მათი იზოლაცია და მე-7 დაწესებულებაში არიან ჩაკეტილები.

თუმცა, ხდება მათი 45-წუთიანი გასეირნება. მათაც აქვთ უფლება ჰაერი გადაყლაპონ. სამარტოო საკნებში უნდათ, სამარტოო საკნებში არიან, რამდენიმე ადამიანთან უნდათ, იქ არიან. ცივი და თბილი წყალი აქვთ. საკნები, ტუალეტები მოწესრიგებულია. სხვადასხვა პროექტებში არიან ჩართულები – ინგლისურის, კომპიუტერის სწავლა.

***– როგორი საკვები მიეწოდებათ?***

– განსაკუთრებით ბოლო წლებში ციხეებში მეტად კალორიული საკვები მიეწოდებათ. აბსოლუტურად განსხვავებულია სააკაშვილის დროინდელი ციხეებისაგან (სადაც სასჯელს მეც ვიხდიდი), სადაც ისეთი საკვები იყო, ადამიანები ავადმყოფდებოდნენ და ავადმყოფობდნენ. „რიბჟირითა“ და რაღაც ნარჩენებით გაკეთებული, შვიდჯერ გამოყენებული ზეთით აკეთებდნენ კერძებს.

დღეს ახალი კვება აქვთ, კონტროლდება ყველა პროდუქტი, რაც შეაქვთ და ამ მიმართულებით სასჯელაღსრულებაში კარგი სიტუაციაა.

ლომჯარიას განცხადება მხოლოდ პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა, სიტუაციის დაძაბვასა და ჩირქის მოცხებას ემსახურებოდა.

***– ანუ ლომჯარიას განცხადებაში სიმართლის რაიმე მარცვალი არ იყო?***

– სიმართლის მარცვალი ის არის, რომ ათასობით ადამიანი ცხოვრობს ერთად და ყოველთვის ხდება ისე, რომ ვიღაც ლიდერად გამოიკვეთება. თუმცა, როგორც კი ლიდერად გამოიკვეთება და შეეცდება, რომ ის ლიდერობა მიიღოს, შეითვისოს და მიითვისოს, ეგრევე გადაჰყავთ მე-7 დაწესებულებაში, სადაც სწორედ ის ლიდერები, ე.წ. მაყურებლები იხდიან სასჯელს.

***– მატროსოვზე შეხება აქვთ ყოფილ სახელმწიფო მოხელეებთან, რომლებიც სასჯელს იხდიან?***

– ერთი დიდი ზონაა და გაყოფილია. რუსთავში, მაგალითად, ერთი დიდი ზონაა, ერთი დიდი შემოღობილია და ის შუაში ღობითაა გაყოფილი. იქით ქალები იხდიან სასჯელს, აქეთ – კაცები. ასეა მატროსოვიც – ერთი დიდი შემოღობილია. შუაში გაღობილია. იქით პოლიციელებისა და სახელმწიფო მოხელეების ციხეა, აქეთ – ქურდების.

***– პატიმრების გარდაცვალება ხომ ხდება?***

– პატიმრის გარდაცვალება ციხეში მხოლოდ ასაკის ან განსაკუთრებული ავადმყოფობის გამო ხდება, რომელსაც დაავადება უცებ გამოუმჟღავნდება და კომისია ვეღარ ასწრებს გათავისუფლებას. რამდენიმე ინფარქტის გამო გარდაცვალების ფაქტია.

***– ბოლო წლებში ციხეში გარდაცვლილთა რაოდენობა რამდენია?***

– 2018 წლის მონაცემებით, 14-15 პატიმარია გარდაცვლილი. ჩვენ დროს იყო 137– 150 პატიმარი, ყოველ მეორე დღეს იღუპებოდა ადამიანი. ახლა თვეში ერთი პატიმრის გარდაცვალება ფიქსირდება და ყველაფერი პრესისთვის ცნობილი ხდება. ვფიქრობ, პენიტენციური სამსახური სახელმწიფოში წარმატებული სისტემაა.

***– სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმებამ რამენაირად ხომ არ დააზარალა ეს სისტემა?***

– არაფრით არ შეიძლებოდა სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმება, როგორი ეფექტურიც უნდა იყოს მთავრობა. როგორც სპორტის სამინისტროს გაუქმება და განათლებაზე მიბმა არ შეიძლებოდა, ისე არ შეიძლება სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმება და იუსტიციის სამინისტროზე მიბმა.

***– ანუ პენიტენციური სისტემის მართვა გაძნელდა?***

– დიახ, მართვა გაძნელდა. ტენდერების ჩატარება, კვების მომსახურება გაძნელდა. შესაბამისად, უფრო მეტი მმართველი რგოლი ჩაუჯდათ. შესაბამისად ტენდერების დროულად ჩატარების პრობლემა იქმნება და შემდეგ იძულებული ხდებიან, პირდაპირი შესყიდვები განახორციელონ. ვერ ესწრება, რადგან იუსტიციის სამინისტროს სხვა ბევრი ტენდერიც აქვს.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „თუ პრეზიდენტი არ გადადგება, სახელმწიფო გადატრიალება მოხდება“

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.**

***– ბატონო ნიკოლოზ, არ ცხრება საზოგადოების ვნებათაღელვა სალომე ზურაბიშვილის განცხადების გამო, რომელიც მან ჯართან დაკავშირებით გააკეთა. ნაწილი მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს, დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს. რას იტყვით თქვენ? ქართული კარგად არ იცის და ამიტომ აკეთებს ასეთ განცხადებებსო, ასე „აპრავებენ“ მას.***

– ამ ქვეყანაში ყველაფერი გამიგია, ნაცების მომხრეები, მათი „გამპრავებლები“, „ოცნების“ მომხრეები, მაგრამ, სალომეზე რომ ადამიანი თავს გაიგიჟებს და მის გამართლებას დაიწყებს, ვხედავთ, რაც ხდება სოცქსელში, ასე არ უგულისხმია და ასე შემდეგ. ჩვენ ავდგეთ და ვიმკითხაოთ, რა იგულისხმა და რის თქმა უნდოდა სალომეს?!

კი ბატონო, გავიგეთ, რომ ამ ქალმა არც ქართული იცის წესიერად და არც ფრანგული, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ?! ეს ბოლო განცხადება, რომელიც მან ჯართან დაკავშირებით გააკეთა, არ იყო შეცდომა და არ იყო ქართული ენის არცოდნის გამო გაკეთებული განცხადება.

***– მიზანმიმართულად თქვა?***

– ამას უფრო სიღრმისეულად უნდა შევხედოთ. პირადად მე ისეთი დიდი შოკი მივიღე ამ განცხადების გამო, რომ რა გითხრათ.

ის ჯარისკაცები, რომლებიც მსახურობენ, 

უამრავი ჯარისკაცი, რომელმაც აფხაზეთში იომა, სამაჩაბლოში იომა, ბევრმა ჯანმრთელობა დაკარგა, ბევრმა სიცოცხლეც შესწირა, ეს ქალბატონი გამოდის და მათ ეუბნება, ჩვენ ჯარი არ გვყავს, არც გვეყოლება, არც იარაღი გვაქვსო.

ეს ქალბატონი ამას ამბობს იმ ფონზე, როდესაც თითქმის საომარ მდგომარეობაში ვართ. არ არსებობს საზღვრის დემარკაცია, ჩვენ გარშემო არიან ქვეყნები, რომლებსაც ერთი სული აქვთ, რაღაცა წაგვართვან. ვინ უნდა დაიცვას ეს ტერიტორიები, თუ არა ჯარმა?! მარტო რუსეთთან კი არა, ყველასთან პრობლემა გვაქვს, ვინც ჩვენ გარშემოა. აქ სხვა ამბავია.

***– რა ამბავი?***

– ეს ქალი ასრულებს უცხო ქვეყნის დავალებებს და, ვინაიდან საქართველოში ხელისუფლების ცვლილება არ ხორციელდება მშვიდობიანად, მშვიდობიანად ხალხი არ გამოდის, ეს არის საწინდარი იმისა, რომ საქართველოში გამოვიდეს ჯარი და სამხედრო ძალით ჩამოიშალოს ეს ხელისუფლება.

მე ნაცებზე არ ვაკეთებ აქცენტს, შესაძლოა, ამის უკან სულ სხვა ძალა იდგეს. დასავლეთი თუ რუსეთი, ეს არ არის დადგენილი, მაგრამ ფაქტია, რომ ჯარში ამან გამოიწვია იმხელა ვნებათაღელვა, რომ გამოვიდა თავდაცვის მინისტრი და გააკეთა განცხადება, რომ ის ემიჯნება ამას. ჯარისკაცები ყურებს ვერ დაიხშობენ და მათაც ესმით პრეზიდენტის განცხადებები.

***– და ეს ყველაფერი სახიფათოა?***

– ძალიან. საქართველოში სამხედრო ამბოხი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოხდა ძალიან პრიმიტიული რაღაცის გამო, რომ ზვიად გამსახურდიამ თავდაცვის სამინისტროს შენაერთები შეიყვანა შინაგან ჯარში.

ეს მან ჯარის დასაცავად გააკეთა, თუმცა ამას სხვა ამბები მოჰყვა, გამოვიდა კიტოვანი და გაიძახოდა, ჯარს გვიუქმებენ, საქართველოს პრეზიდენტი ჯარის წინააღმდეგ მიდისო და ბევრი ჯარისკაცი წამოეგო ამ პროვოკაციას, გავიდნენ ქუჩაში და ამის შემდეგ დაიწყო საქართველოში დაპირისპირება.

თქვენ წარმოიდგინეთ, ჯარისკაცები რომ სალომეს ამ განცხადებებს უსმენენ, რომ ჯარი არ გყავს, არც გეყოლება. ეს რას ნიშნავს?! პრეზიდენტს რომ ეთქვა, პრობლემებია ჯარშიო, ხმას არავინ ამოიღებდა.

***– რას უმიზნებს სალომე ზურაბიშვილი?***

– თუ სალომე ზურაბიშვილი დაუყოვნებლივ არ გადადგება, დიდი ალბათობით, საქართველოში მოხდება სახელმწიფო გადატრიალება ჯარისკაცების მიერ! დიახ, თავდაცვის სამინისტროს მიერ და ამას ვერავინ აღუდგება წინ.

ვაფრთხილებ ხელისუფლებას, ამის ალბათობა ძალიან მაღალია. დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ძალიან ადვილია მანიპულირება ჯარის ნაწილებზე. რაც არ უნდა თავი გაიგიჟოს ღარიბაშვილმა, ამ სიტუაციას აუცილებლად გამოიყენებენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს მყოფი ძალები და ჯარისკაცებს ეტყვიან, აი, თქვენ გეომებათ თქვენი მთავარსარდალიო. არ არის გამორიცხული, საქართველოს შეიარაღებული ძალები გამოყენებულ იქნეს ხელისუფლების ჩამოსაგდებად.

***– თავდაცვის მინისტრი გაემიჯნა პრეზიდენტის ამ განცხადებას.***

– იმის თქმა თავდაცვის მინისტრისგან, რომ ემიჯნება სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, არ კმარა!

ქართველმა ხალხმა ხმა მისცა იმას, რომ არ მოსულიყო ნაცმოძრაობის ლიდერი ვაშაძე. სალომე ზურაბიშვილი არავის სჭირდებოდა. უნდა დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურები, რადგან ეს არის სახელმწიფო ღალატის შემცველი განცხადებები!

***– ვის წისქვილზე ასხამს წყალს თავისი განცხადებებით სალომე ზურაბიშვილი?***

– იმ ქვეყნის წისქვილზე ასხამს წყალს, რომლისგანაც იმართება, მათ წისქვილზე, ვისაც დღეს საქართველოში სურს ხელისუფლების ცვლილება.

***– ეს არის რუსეთი?***

– შეიძლება, რუსეთიც არ იყოს და იყოს სრულიად სხვა ქვეყნები. რატომ გვგონია, რომ ამ პროცესებში მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურები მონაწილეობენ ამ ყველაფერში?! სხვა ქვეყნებიც არიან, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ რუსეთიც იყოს ჩართული ამ ყველაფერში.

# ისრაელში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 2 მარტს გაიმართება

ისრაელში საპარლამენტო არჩევნები 2 მარტს გაიმართება, რომელიც ქვეყანაში ერთ წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში ჩატარებული მესამე არჩევნები იქნება.

პარლამენტის დაშლასა და ახალი არჩევნების დანიშვნას 94 პარლამენტარმა დაუჭირა მხარი, გადაწყვეტილების წინააღმდეგ კი ხმა არც ერთ დეპუტატს არ მიუცია.

კენჭისყრა ისრაელის ქნესეთში მას შემდეგ გაიმართა, რაც კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება ვერც მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ და ვერც მისმა მეტოქე ბენი განცმა შეძლო.

რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ისრაელში 17 სექტემბერს გაიმართა. ნეთანიაჰუს პარტია „ლიკუდს“ პარლამენტში 31 ადგილი ერგო, ბენი განცის პარტიას „ლურჯი და თეთრი“ კი – 33. მესამეზე ადგილზე გასულ „არაბთა გაერთიანებულ სიას“ 13 მანდატი ხვდა წილად. ვერც ერთმა პარტიამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა, რის გამოც ქვეყნის პრეზიდენტმა მთავრობის ფორმირების შესახებ კონსულტაციები დაიწყო და ჯერ ნეთანიაჰუს, შემდეგ კი განცს კოალიციური მთავრობის ფორმირება დაავალა.



სექტემბრის ვადამდელი არჩევნების გამართვა აპრილში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა აუცილებელი, როდესაც ნეთანიაჰუს პარტიამ ყოფილ თავდაცვის მინისტრ ავიგდორ ლიბერმანის მხარდაჭერა დაკარგა და მოკავშირეებთან კოალიცია ვერ ჩამოაყალიბა.

# ამერიკის სენატის საგარეო კომიტეტმა თურქეთის წინააღმდეგ სანქციებს მხარი დაუჭირა



ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტმა თურქეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას მხარი დაუჭირა.

კანონპროექტი თურქეთის მიერ რუსული ეს-400-ის სარაკეტო სისტემების შეძენასა და სირიაში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციას უკავშირდება.

კანონპროექტი ძალაში მას შემდეგ შევა, რაც მას ხელს ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოაწერს.

მომხდარზე განცხადება გაავრცელა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. მისი განცხადებით, შეერთებული შტატების კანონპროექტი გამოხატავს უპატივცემულობას თურქეთის სუვერენული გადაწყვეტილებების მიმართ.

– მსგავსი მცდელობები ანადგურებს ამერიკა-თურქეთის ურთიერთობებს. ჩვენ უკვე გამოვხატეთ ჩვენი აზრი, როცა ანალოგიური კანონპროექტი აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა. ამჯერად სენატის მიერ მისი განხილვა ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პოზიცია მოსმენილ არ იქნა, – აცხადებენ სამინისტროში.

# რუსეთი 2 გერმანელ დიპლომატს ქვეყნიდან აძევებს



რუსეთმა გერმანიის საელჩოს ორი თანამშრომელი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

ინფორმაციას ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

დიპლომატებმა ქვეყანა ერთი კვირის განმავლობაში უნდა დატოვონ.

ამასთან, საგარეო უწყებაში დაიბარეს გერმანიის ელჩი, რომელსაც პროტესტი გამოუცხადეს.

შეგახსენებთ, საქართველოს მოქალაქე ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით 4 დეკემბერს გერმანიიდან რუსეთის საელჩოს ორი თანამშრომელი გააძევეს. მოგვიანებით მოსკოვში განაცხადეს, რომ რუსეთი საპასუხო ზომებს მიიღებდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გამვლელს კინოგადაღების დროს მსახიობები მძარცველები ეგონა და მათ თავს დაესხა




ინგლისის დორსეტის საგრაფოს სოფელ უინფრიტ ნიუბერგში გამვლელს მსახიობები, რომლებიც გადასაღებ მოედანზე იმყოფებოდნენ, მაღაზიის მძარცველები ეგონა.

კინოსტუდია Hard Road Films-მა ფილმ „პერანის“ სცენის გადაღებისთვის პატარა სოფლის მაღაზია შეარჩია. მსახიობებს ძარცვა უნდა განესახიერებინათ. ქურდებად გარდასახული მსახიობები ქუჩაში მაღაზიის განრისხებულ მფლობელს გაურბოდნენ. გადასაღები კამერა გზისპირას გაჩერებულ ავტომობილში იყო დამალული და ამიტომ ის გამვლელებისთვის შეუმჩნეველი გახლდათ.

ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების ყურადღება მიიპყრო მომხდარმა და დამნაშავეების დაკავება გადაწყვიტა. ის კამერების წინ „ბანდიტებს“ გაეკიდა. გადამღებმა ჯგუფმა დროულად მოახერხა მამაკაცის შეჩერება და განუმარტა, რომ ის ფილმის გადაღებას შეესწრო.

სავარაუდოდ, ფილმი „პერანი“ ეკრანებზე 2020 წელს გამოვა. მისი გადაღებები უმეტესწილად დორსეტის საგრაფოს ტერიტორიაზე გაიმართება.

# ქარის მიერ გადაბრუნებული სატვირთო პოლიციის მანქანას დაეცა



შოტლანდიაში, ედინბურგის მახლობლად მდებარე ა1 ტრასაზე, ქარიშხალმა სატვირთო ავტომობილი გადააბრუნა, რის შემდეგაც ის პოლიციის მანქანას დაეცა.

წამში 44 მეტრი სიმძლავრის ქარმა სატვირთო მანქანა 10 დეკემბერს გადააბრუნა. შემთხვევის ადგილზე საპატრულო მანქანით მივიდა პოლიციელი, გვარად ისონი.

სამართალდამცავის მისვლიდან რამდენიმე წამში ქარის გამო კიდევ ერთმა სატვირთო მანქანამ დაიწყო ქანაობა, საბოლოოდ კი ის ქარმა პირდაპირ პოლიციის მანქანაზე გადააბრუნა, რომელიც მნიშვნელოვნად დაზიანდა.

აღნიშნული შემთხვევის შედეგად პოლიციელი ისონი არ დაშავებულა. მან კავშირგაბმულობის საშუალებით გადასცა: „ახლახან სატვირთო ჩემს საპატრულო მანქანას დაეცა. არადა, გუშინ შევაკეთე და მოვაწესრიგე“.

# დეზოდორანტის მოყვარულის გამო სკოლის ავტობუსის ევაკუაცია განხორციელდა




ამერიკის ფლორიდის შტატის მენატის ოლქში ავტობუსიდან განხორციელდა საშუალო სკოლის მოსწავლეების ევაკუაცია, რისი მიზეზიც დეზოდორანტის აუტანელი სუნი გახდა.

სასკოლო ავტობუსს ბაფალო კრიკის საშუალო სკოლის მოსწავლეები გადაჰყავდა, რომელთა შორის აღმოჩნდა დეზოდორანტის მოყვარული და რომელიც მას გადამეტებულად იყენებდა. საბოლოოდ ავტობუსის მძღოლი იძულებული გახდა, მეტისმეტად მძაფრი სუნის გამო ბავშვები ავტობუსიდან ჩამოესვა.

მოსწავლეების დანიშნულების ადგილამდე მისაყვანად სხვა ავტობუსის გამოძახება გახდა საჭირო. მოზარდების გამოსაკვლევად შემთხვევის ადგილზე სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ, თუმცა საავადმყოფოში გადაყვანა არავის დასჭირვებია.

# ნაკრძალიდან გაქცეულმა ლომმა მამაკაცი და ძაღლები დაგლიჯა

კენიის კადზიადოს ოლქის ქალაქ ონგატა რონგაიში ლომმა მამაკაცი და 30-მდე ძაღლი დახოცა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

40 წლის რონო კიპკირუი სიმიონი სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა, როდესაც უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. სამი დღის შემდეგ ნაირობის ეროვნული პარკის მახლობლად მისმა უფროსმა შენიშნა ლომი, რომელიც ადამიანის სხეულის ნარჩენებს შეექცეოდა. ის მტაცებლის შეშინებასა და განდევნას შეეცადა, მაგრამ ცხოველი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. შემთხვევის ადგილზე დაღუპულის მხოლოდ თავი და ხელი დარჩა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლომი ნაირობის ნაკრძალიდან გაიქცა. კენიის ბუნების დაცვის სამსახურმა ადგილობრივ მოსახლეობას სიმშვიდისა და ღამის საათებში ქუჩაში გამოსვლისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა მანამდე, სანამ მტაცებელს არ დაიჭერენ. ამ დროისთვის სპეციალისტების ჯგუფი, მათ შორის ვეტერინარებიც, სახიფათო მტაცებლის ძებნითა და დაჭერით არის დაკავებული.

# შიშველი მოდელი საკუთარ სახლში შეიარაღებულ მძარცველს შეეჩეხა

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ჩემბლიში შიშველი მოდელი საკუთარ სახლში მოულოდნელად მძარცველს გადააწყდა. აღნიშნული ინციდენტი ვიდეოზე მოხვდა.

29 წლის დანი ბენქსი ძაღლის ყეფამ გააღვიძა.

– პატარა ბინა მაქვს. ხმაური შემომესმა და იმის სანახავად ავდექი, რომ გამეგო, თუ რა ხდებოდა, – განაცხადა მოდელმა, – დიახ, შიშველს მეძინა და ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ.

გოგონამ სასტუმრო ოთახში შეიხედა და იქ გადააწყდა შეიარაღებულ მამაკაცს, რომელსაც მისი ფრანგული ბულდოგი უყეფდა. მძარცველი მოდელს პისტოლეტით დაემუქრა და სეიფის გახსნა მოსთხოვა, თუმცა, მისდა სამწუხაროდ, ის ცარიელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ მან მოდელს ხელი უბიძგა, საწოლზე დააგდო და თავად სახლი ისე დატოვა, რომ არაფერი წაუღია.

ბენქსმა დაუყოვნებლივ დარეკა პოლიციაში და მომხდარის შესახებ აცნობა. როდესაც სამართალდამცავები ადგილზე მივიდნენ, მოდელი ისტერიკულად ტიროდა.

– დარწმუნებული ვარ, სპეციალურად მომიწყვეს, – ამტკიცებს გოგონა, – მათ სახელებს არ ვიტყვი, რომლებზეც ეჭვი მაქვს, მაგრამ მჯერა, რომ პოლიცია ყველაფერს გაარკვევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# გიორგი შერმადინი — სამწამიანის მეფე

ესპანური ტენერიფეს ქართველმა ცენტრმა გიორგი შერმადინმა მორიგი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. შერმადინი ესპანეთის ჩემპიონატის გასული ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა, 2 დღეში კი ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა და მატჩში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.

ტენერიფელები რუსეთში ნიჟნი ნოვგოროდს შეხვდნენ და დაძაბულ ბრძოლაში – 72:75 დამარცხდნენ. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში აქამდე 7-დან 7 გამარჯვების მქონე ტენერიფელებისთვის ეს გახლდათ პირველი დამარცხება.

ქართველი ცენტრი მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო იყო. შერმადინმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 28 წუთში 19 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 10-დან 8 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

7 მოგებითა და 1 მარცხით ტენერიფელები 8-გუნდიან ჯგუფში პირველობას საიმედოდ ინარჩუნებენ. შემდეგ მატჩს შერმადინის გუნდი შინ მონტენეგრულ მორნარს შეხვდება.

თუმცა, უფრო საინტერესო ის სტატიაა, რომელიც ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ვებგვერდმა გიორგი შერმადინს მიუძღვნა. შერმინატორი კარიერაში საუკეთესო სეზონი ატარებს და უმთავრეს სტატისტიკურ კომპონენტებში ლიგა ენდესას ლიდერთა შორის იმყოფება და ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის (მვპ) ტიტულზეც აცხადებს პრეტენზიას.

შერმადინი ერთადერთი კალათბურთელია, რომელიც ნიკოლა მიროტიჩს ლიდერობას ეცილება. ნბა-დან ბარსელონაში გადაბარგებული ვარსკვლავი არანაკლებ საოცარ სეზონს ატარებს და ეს გასაკვირიც არ არის, მაგრამ შერმადინი დანებებას არ აპირებს. მიროტიჩის საშუალო სარგებლიანობის კოეფიციენტი 25.5-ს უტოლდება და ეს დიდებული შედეგია, მაგრამ შორს არც ქართველია – 24.3.

შერმადინისთვის ამ ასპექტში სოლიდური რიცხვები ჩვეულებრივი რამ არის. ჩემპიონატის 12-დან 9 მატჩში მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 20-ს აჭარბებდა.

ცხადია, ეს მაჩვენებელი მისი შედეგიანობიდან გამომდინარეობს. ქართველი ცენტრი მე-4 ადგილზეა ბომბარდირთა დავაში – შერმადინს მისი ესპანური კარიერის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი სეზონი აქვს: საშუალოდ 18.2 ქულა. გიორგიმ 10 ქულაზე ნაკლები მხოლოდ ერთ შეხვედრაში ჩააგდო, 8 მატჩში კი 18-დან 25 ქულამდე შუალედში ტრიალებდა.

ქართველ ლეგიონერზე წინ მხოლოდ კლემენ პრეპელიჩი (საშუალოდ 21.6 ქულა), ასკია ბუკერი (20.5) და მიროტიჩი (20.2) არიან.

შერმადინს ბადალი არ ჰყავს ფარვეშ ბრძოლისას, საიდანაც ის საშუალოდ 6.9 ორქულიანს აგდებს. ეს ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია და მასთან ახლოს მხოლოდ დეიან კრავიჩია (6.0), მესამეადგილოსანი დევიდ კრავიჩი (4.9) კი ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩება.



ქართველ კალათბურთელს 12 მატჩში 83 ორქულიანი აქვს ჩაგდებული და თანაც, დიდებული პროცენტული მაჩვენებლით (69.7%) ესვრის. გიორგი ამ მხრივ ხავიერ ბეირანს (79.4%), იუსუფა ფოლს (76.3%), ემანუელ კატეს (73.8%), ჯონ შურნასა (73.0%) და ვალტერ ტავარეშს (71.4%) ჩამორჩება, თუმცა, ხუთივე კალათბურთელი გაცილებით ნაკლებ 2-ქულიანს (საშუალოდ 3.1/4.1-ის ფარგლებში) ესვრის.

შერმადინი კიდევ ერთ კომპონენტშია გამორჩეული – ჩვენებური საშუალოდ 6.6 მოხსნას აგროვებს, რაც ლიგა ენდესაში მე-6 მაჩვენებელია.

გიორგიზე წინ მხოლოდ ალენ ომიჩი (8.3), ონდრეი ბალვინი (7.7), ეარლ კლარკი (7.3), ტავარეში (7.3) და აუგუსტო ლიმა (6.8) არიან. ამას გარდა, ქართველი გოგანტი ტოპათეულშია როგორც ცალკე დაცვით (მე-7), ასევე შეტევაში (მე-8) მოხსნებში.

შერმადინი რომ იბეროსტარ ტენერიფეს აშკარა ლიდერია, ერთი სტატისტიკური მაჩვენებელიც მოწმობს. გუნდში სარგებლიანობის კოეფიციენტის მიხედვით მე-2 მაჩვენებელი (14.1) ბრაზილიელ მარსელინიო უერტასს აქვს, რომელსაც გიორგის მონაგარი მთელი 10 პუნქტით აღემატება.

ამას გარდა, ქართველ კალათბურთელზე თამაშის წესებს საშუალოდ 5.2-ჯერ არღვევენ და ის, თანამემამულე თორნიკე შენგელიასთან ერთად, ლიგაში მე-3 პოზიციას ინაწილებს, ამ მხრივ ლიდერები კი პრეპელიჩი (საშუალოდ 6.4) და მიროტიჩი (5.9) არიან.

შერმადინმა გასულ სეზონთან შედარებით, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გააორმაგა და ეს ფანტასტიკური პროგრესია.

ქართველ ცენტრს უნიკახაში საშუალოდ 9.5 ქულა ჰქონდა, ახლა კი, 18.2-ზე ავიდა, სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 12.3-დან 24.3 გახდა. წინსვლაა სხვა კომპონენტებშიც: საჯარიმოები – 82.8%-დან 83.8%-მდე, ზუსტი ორქულიანები – 63.3%-დან 69.8%-მდე, მოხსნები – 4.7-დან 6.6-მდე, პასები – 0.6-დან 1.8-მდე, ბლოკშოტები – 0.4-დან 0.7-მდე, სლემ-დანქები – 0.7-დან 1.2-მდე და გამომუშავებული ფოლები – 3.1-დან 5.2-მდე.

აქამდე გიორგის ესპანურ ლიგაში საუკეთესო სეზონი (2016-17) მორაბანკ ანდორაში ჰქონდა, როდესაც საშუალოდ 15.7 ქულას აგდებდა, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 21.5 იყო. მიმდინარე სეზონში, შერმადინი ამ გრაფიკზეც უკეთ მიდის.

არადა, ბოლო 10-წლეულის განმავლობაში ლიგა ენდესას მხოლოდ 3 კალათბურთელი ახსოვს, რომელთაც რეგულარული პირველობა საშუალოდ 20-ზე მეტი სარგებლიანობის კოეფიციენტით დაასრულეს.

ესენი ედვინ ჯეკსონი (21.8, 2016-17), ტიაგო სპლიტერი (21.2, 2009-10) და... თავად შერმადინი (21.5, 2016-17) იყვნენ. თუკი მიროტიჩისა და შერმადინის ამჟამინდელ შეჯიბრებას გავითვალისწინებთ, დიდია შანსი, მიმდინარე სეზონის შემდეგ აღნიშნული ჩამონათვალი გაიზარდოს.

# ჩემპიონთა ლიგაზე ყველა მერვედფინალისტი გაირკვა

## ა ჯგუფი

### ბრიუგე-რეალი 1:3

ბრიუგე. იან ბრეიდელი

0:1 როდრიგო (53), 1:1 ვანაკენი (55), 1:2 ვინისიუსი (64), 1:3 მოდრიჩი (90)

ამ ჯგუფში ფლეი ოფში გამსვლელი გუნდები ჯერ კიდევ ბოლოსწინა ტურში გაირკვა და მხოლოდ ევროპა ლიგაზე გამსვლელი უნდა გამოვლენილიყო. ევროპის მე-2 რანგით ტურნირზე ასპარეზობას ბრიუგე გააგრძელებს. მართალია, ბელგიურმა გუნდმა თამაში წააგო, მაგრამ მიზნის მიღწევაში კონკურენტი წაეხმარა.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ უფრო მხიარული თამაში გაჩაღდა და შესვენების შემდეგ მაყურებელმა 4 გოლი იხილა.

### პსჟ-გალათასარაი 5:0

პარიზი. პარკ დე პრენსი

1:0 იკარდი (32), 2:0 სარაბია (35), 3:0 ნეიმარი (46), 4:0 მბაპე (63), 5:0 კავანი (84პ)

გალათასარაის ევროპის ლიგაზე გადასასვლელად მცირე შანსი ჰქონდა – თავადაც უნდა მოეგო და ბრიუგესაც უნდა წაეგო. რეალმა გალათასარაის საქმე კი გააკეთა, მაგრამ თავად თურქულმა კლუბმა ვერ ივარგა და პარკ დე პრენსზე 0:5 განადგურდა.

პსჟ-დან კი გოლები ყველამ გაიტანა ვისაც არ დაეზარა...

საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 6 | 5 | 1 | 0 | 17-2 | 16 |
| 2.რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 14-8 | 11 |
| 3.ბრიუგე | 6 | 0 | 3 | 3 | 4-12 | 3 |
| 4.გალათასარაი | 6 | 0 | 2 | 4 | 1-14 | 2 |

## ბ ჯგუფი

### ოლიმპიაკოსი-ცრვენა ზვეზდა 1:0

პირეოსი. კარაისკაკი

1:0 ელ-არაბი (87პ)

გამოუყენებელი პენალტი: ტომანე (41, ცრვენა ზვეზდა)

ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში გამსვლელთა ვინაობა ამ ჯგუფშიც გარკვეული იყო, ევროპა ლიგაზე გადასასვლელი საგზური კი ოლიმპიაკოსმა მოიპოვა, რომელმაც შინაურ არენაზე ცრვენა ზვეზდას მოუგო.



არადა, არავინ იცის, 41-ე წუთზე ტომანეს პენალტი რომ გაეტანა, რა მოხდებოდა. თუმცა სერბები კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ შანსს, რადგან ფრეც აწყობდათ, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ასევე პენალტით გაუშვეს და ევროტურნირს მიღმა დარჩნენ.

### ბაიერნი-ტოტენჰემი 3:1

მიუნხენი. ალიანც არენა

1:0 კომანი (14), 1:1 სესინიონი (20), 2:1 მიულერი (45), 3:1 კოუტინიო (64)

ამ მატჩს არაფრის შეცვლა არ შეეძლო, მაგრამ ბაიერნმა ტურნირის ისტორიაში პირველად მოიგო ექვსივე მატჩი და მე-4 გუნდი გახდა, რომელმაც უდანაკარგოდ დაასრულა ჯგუფური ეტაპი.

საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 6 | 0 | 0 | 24-5 | 18 |
| 2.ტოტენჰემი | 6 | 3 | 1 | 2 | 18-14 | 10 |
| 3.ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-14 | 4 |
| 4.ცრვენა ზვეზდა | 6 | 1 | 0 | 5 | 3-20 | 3 |

## ც ჯგუფი

### დინამო (ზ)-მანჩესტერ სიტი 1:4

ზაგრები. მაქსიმირი

1:0 ოლმო (10), 1:1, 1:2, 1:3 გაბრიელ ჟეზუსი (34, 50, 54), 1:4 ფოდენი (84)

მანჩესტერ სიტი ჯგუფიდან უკვე გასული იყო, მაგრამ მაინც მოიგო. არადა, თავიდან აგებდა, თუმცა, შემდეგ გაბრიელ ჟეზუსმა ჰეთ-თრიქი შეასრულა და მატჩის ბედი გადაწყვიტა.

### შახტარი-ატალანტა 0:3

ხარკოვი. მეტალისტი

0:1 კასტანი (66), პაშალიჩი (80), 0:3 გოსენსი (90)

გაძევება: დოდო (77, შახტარი)

ზაგრების დინამოს წაგებამ შახტარს საქმე თითქოს გაუიოლა – დონბასელებს მერვედფინალში გასაღწევად საკუთარ მოედანზე ატალანტასთან არ უნდა წაეგოთ. შახტარმა იომა, მომენტებიც ჰქონდა, გოლიც გაიტანა, რომელიც გაუუქმეს, მეტოქის ფეხბურთელიც გასაგდები იყო მოედნიდან, მაგრამ ბერგამოელებს და მსაჯს ერთად ვერ მოერივნენ და ევროპალიგაზე გადაინაცვლეს.

ატალანტა ფლეი ოფში მე-2 ადგილით გავიდა. იტალიური გუნდი ტურნირის ისტორიაში პირველია, რომელმაც 3 სასტარტო მატჩი წააგო და მერვედფინალში მაინც გავიდა.

„მეშახტეთა“ მცველი დავით ხოჭოლავა სათადარიგო იყო.

საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 4 | 2 | 0 | 16-4 | 14 |
| 2.ატალანტა | 6 | 2 | 1 | 3 | 8-12 | 7 |
| 3.შახტარი | 6 | 1 | 3 | 2 | 8-13 | 6 |
| 4.დინამო | 6 | 1 | 2 | 3 | 10-13 | 5 |

## დ ჯგუფი

### ატლეტიკო-ლოკომოტივი 2:0

მადრიდი. ვანდა მეტროპოლიტანო

1:0 ფელიქსი (17პ), 2:0 ფელიპე (54)

გამოუყენებელი პენალტი: ტრიპიერი (2, ატლეტიკო)

ატლეტიკოს მერვედფინალში გასასვლელად საკუთარ მოედანზე ლოკომოტივის დამარცხება მართებდა და უპრობლემოდ სძლია.

ლოკომოტივის ძირითად შემადგენლობაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საბა კვირკველიამ ითამაშა, ამასთან „საიუბილეო“ – ჩვენებურმა ლოკოში მე-100 მატჩი ჩაატარა.

### ბაიერი-იუვენტუსი 0:2

ლევერკუზენი. ბაი-არენა

0:1 რონალდო (75), 0:2 იგუაინი (90)

იუვენტუსს პირველი ადგილი ადრე ჰქონდა განაღდებული, მაგრამ სერია ა-ში ლაციოსთან წაგებული მატჩის შემდეგ ტურინელთა მწვრთნელი მაურიციო სარი ფეხბურთელებს გაეხუმრა, ლევერკუზენს თუ არ მოუგებთ, დაგხოცავთო და მათაც გაიმარჯვეს.

საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 6 | 5 | 1 | 0 | 12-4 | 16 |
| 2.ატლეტიკო | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 3.ლევერკუზენი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-9 | 6 |
| 4.ლოკომოტივი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-11 | 3 |

მაშ ასე, ყველა მერვედფინალისტი გაირკვა. ფლეი ოფების წილისყრა შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში 16 დეკემბერს გაიმართება.

შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები კი განთესილ და განუთესავ კალათებში გადანაწილდნენ.

**ჯგუფის გამარჯვებულები (განთესილები):** ბარსელონა (ესპ), ბაიერნი (გერ), იუვენტუსი (იტა), ლაიპციგი (გერ), ლივერპული (ინგლ), მანჩესტერ სიტი (ინგლ), პსჟ (საფ), ვალენსია (ესპ)

**მეორეადგილოსნები (განუთესავები):** ატალანტა (იტა), ატლეტიკო (ესპ), დორტმუნდი (გერ), ჩელსი (ინგლ), ლიონი (საფ), ნაპოლი (იტა), რეალი (ესპ), ტოტენჰემი (ინგლ)

განთესილები პირველ მატჩებს სტუმრად ჩაატარებენ;

მერვედფინალში ერთმანეთს ერთი ასოციაციის (ქვეყნის) კლუბები ვერ შეხვდებიან და ასევე, გუნდები, რომლებიც ერთ ჯგუფში იყვნენ.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## შედეგები

11 დეკემბერი

ფეხბურთი

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო(ზ)-სიტი | 1:4 |
| შახტარი-ატალანტა | 0:3 |
| ატლეტიკო-ლოკომოტივი | 2:0 |
| ბაიერნი-ტოტენჰემი | 3:1 |
| ლევერკუზენი-იუვენტუსი | 0:2 |
| ბრიუგე-რეალი | 1:3 |
| ოლიმპიაკოსი-ცრვენა ზვეზდა | 1:0 |
| პსჟ-გალათასარაი | 5:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-რედინგი | 1:1 |
| ბირმინგემი-ქპრ | 0:2 |
| ბრენტფორდი-კარდიფი | 2:1 |
| დერბი-უენსდი | 1:1 |
| სუონსი-ბლექბერნი | 1:1 |
| უიგანი-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ფრანგი ძიუდოისტი მამაკაცი; 2. მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებების დაწესებულება; 3. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 6. დამუშავებული გეგმა; 9. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 11. ყირგიზეთის დედაქალაქი; 15. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 16. ტყავის დამზადების ოსტატი; 17. ისლამის ფუძემდებელი; 19. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. ფლანდრიელი ფერმწერი; 22. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი.

**თარაზულად**: 5. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 7. მხატვრულ ფილმ „დაკარგული სამოთხის“ რეჟისორი; 8. ძვირფასი ნივთები, ფასეულობა, განძი; 10. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 12. ძაფზე ასხმული სამკაული; 13. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 14. ფრანგი მარშალი, შვეიცარიის მეფე; 18. უნგრული ღვინო; 20. უღელტეხილი კავკასიონზე; 23. აშშ-ის პრეზიდენტი; 24. ფეხბურთში მცველის ძველი სახელწოდება; 25. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 26. ბერძნული ყველი; 27. თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პაბი; 2. შულტა; 3. შტირია; 5. ლარდი; 6. გრუნდიგი; 8. ონომასტიკა; 10. ინტრიგა; 12. ასტურია; 14. ლეჩაქი; 15. ფავინო; 16. ონიმა.

**თარაზულად:** 1. პანეში; 4. ალთინგი; 7. შულერი; 9. იგრიკა; 11. ლონდონი; 12. აისბერგი; 13. ორბიტა; 17. ელეგია; 18. მილი; 19. საკოფანტი; 20. მალაქიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კულაკი; 2. დინგო; 3. ტვისტი; 4. ჯილღაო; 6. ბაზიერი; 9. პუარო; 11. ტაიფუნი; 15. სუბმარინა; 16. ფაველა; 17. კელასური; 19. ეშელონი; 21. სექტორი; 22. ალგეთი.

**თარაზულად:** 5. რუმინეთი; 7. ამსტელი; 8. ილიადა; 10. ლუქსორი; 12. აიეტი; 13. ფლავი; 14. ჯვრისწერა; 18. სუფლე; 20. შანელი; 23. ქლიავი; 24. ქისი; 25. გელაპი; 26. თუნი; 27. არაქისი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8661

ევრო — 3.1900

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7821

100 რუსული რუბლი — 4.5482

## ამინდის პროგნოზი 13 დეკემბერი







## 3 დეკემბრიდან

წიგნი I-II

## რჩეული საბავშვო მოთხრობები

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი“, რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

**ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი**

## ეკა ნიჟარაძე ტელეწამყვანი ხდება



მსახიობი ეკა ნიჟარაძე ტელეწამყვანი ხდება.

„მთავარ არხზე“ სულ მალე დაიწყება გადაცემა „შუალამე“, სადაც ეკა ლელა წურწუმიასთან, ილო ბეროშვილთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად მნიშვნელოვან და საინტერესო თემებზე მიწვეულ სტუმრებთან ერთად ისაუბრებს.

მსახიობისთვის ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც იგი გადაცემაში არა სტუმრის, არამედ წამყვანის სტატუსით იქნება, ამიტომ, როგორც თავად განაცხადა, განსაკუთრებით ღელავს.

## ლევან გელბახიანი ამერიკაში საუკეთესო მამაკაც მსახიობად დაასახელეს

ქართველი მსახიობი ლევან გელბახიანი ამერიკაში დააჯილდოვეს. ლევან აკინის ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ შესრულებული მთავარი როლისთვის მსახიობმა ნიუ მექსიკოს კინოკრიტიკოსთა ჯილდო მიიღო.



ლევანი ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი მამაკაცი გამარჯვებული გახდა და ეს ამ ნომინაციაში მისი უკვე მეოთხე პრიზია. ლევან გელბახიანი საუკეთესო მამაკაც მსახიობად სარაევოს, ვალიადოლიდისა და მინსკის საერთაშორისო კინოფესტივალებზეც დაასახელეს და სპეციალური პრიზები გადასცეს.

მოამზადა
ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

13 დეკემბრისათვის



**ვერძი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– რა ჰქვია ორი ადამიანის საუბარს?

– დიალოგი.

– და ცოლისა და ქმრის საუბარს?

– მონოლოგი.

•••

მამაკაცი ფსიქიატრიულში მოხვდა. პალატაში ერთ-ერთი პაციენტი ეკითხება:

– შენ ვინ ხარ?

– ნაპოლეონი.

– აუუ, იმპერატორები არ გვაკლია, სავსეა საავადმყოფო!

– მე იმპერატორი კი არა, ნამცხვარი ვარ!

•••

ორი მეგობარი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, იცი, გუშინ, თამაშის შემდეგ, რონალდუ ავტოგრაფებს რომ არიგებდა, შემთხვევით სახჩერის „ჩიხურასთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი...

•••

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი კართან შეეგება და ეუბნება:

– ძვირფასო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, ერთი ცუდი, მეორე კარგი!

– ცუდით დაიწყე.

– ცუდი ისაა, რომ მთელი შენი ფული გავფლანგე...

– და კარგი რაღაა?

– ღატაკიც კი მიყვარხარ!

•••

ორნი საუბრობენ:

– ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, როგორ შეიძლება ჯანმრთელობის დაცვის დონის ამაღლება?

– სულ უბრალოდ! სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულებმა პირველი სამი წელი საკუთარ პედაგოგებს უნდა უმკურნალონ!

•••

ცოლი ავად გახდა. ქმარმა ექიმი გამოიძახა. გასინჯვის შემდეგ ექიმმა ქმარი გვერდით ოთახში გაიყვანა და ეუბნება:

– თქვენს მეუღლეს სექსი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვდება.

ექიმის წასვლის შემდეგ ცოლი ქმარს ეკითხება:

– რა გითხრა ექიმმა?

– სამწუხაროდ, მალე მოკვდები...

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– დღეს ბიჭები გესტუმრებით გოგონებს.

– მაშინ სასმელი თქვენზეა.

– რა პრობლემაა, მისაყოლებელი და გოგოები თქვენზე!

## მესიმ ბარსელონის ახალგაზრდა ფეხბურთელები შეაქო



ბარსელონის ლიდერმა ლიონელ მესიმ ინტერთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ გუნდმა შესანიშნავად ითამაშა.

განსაკუთრებით მესიმ ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოყო და თქვა, რომ მათ ძალიან გააზრებული და გამართული ფეხბურთი ითამაშეს:

– გაკვირვებული დავრჩი, როდესაც მატჩს ვუყურე, რადგან ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ინტერის გამოცდილი მოთამაშეები დაჩაგრეს და მოგება დაიმსახურეს. მათ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს.

ბარსელონამ ინტერი სტუმრად 2:1 დაამარცხა და იტალიური გუნდი ჩემპიონთა ლიგას გამოთიშა.

## კრიშტიანო რონალდუ: „მინდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში რეალს შევხვდე“



იუვენტუსის ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ თავის ყოფილ გუნდ რეალზე ისაუბრა და თქვა, რომ სურს, მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეხვდეს.

რონალდუს აზრით, იუვენტუსს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება:

– იუვენტუსს მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებს და სხვა შედეგი ჩვენთვის კარგი არ იქნება. ფინალში მინდა, რეალი დავამარცხოთ, რადგან მის წინააღმდეგ თამაში ძალიან საინტერესო იქნება.

რონალდუ რეალის ღირსებას 2009-18 წლებში იცავდა.

## ჟოზე მოურინიო: „ბაიერნთან ცუდად ვითამაშეთ“



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ ის უკმაყოფილოა ბაიერნთან თამაშით და მის გუნდს უფრო მეტი მოეთხოვება.

ტოტენჰემმა ბაიერნთან სტუმრად 1:3 წააგო.

– სატურნირო თვალსაზრისით ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი არ იყო, მაგრამ, ვფიქრობ, რომ უკეთ თამაში გვმართებდა. ბაიერნმა თითქმის ყველა კომპონენტში გვაჯობა და ეს ფაქტი არ მომწონს. ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს იმისთვის, რომ ოპტიმალურ ფორმაში შევიდეთ, – განაცხადა მოურინიომ.

## პოჩეტინო დორტმუნდის ბორუსიაში?



ტოტენჰემის ყოფილი მთავარი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინო, შესაძლოა, დორტმუნდის ბორუსიაში ვიხილოთ.

ამჟამად ბორუსიას არცთუ კარგი დრო უდგას და დორტმუნდელები მწვრთნელის შეცვლაზე ფიქრობენ, ხოლო პოჩეტინო მათთვის კარგი კანდიდატია.

პოჩეტინო ჯერჯერობით თავის მომავალზე არ საუბრობს და ამბობს, რომ ფეხბურთში მალე დაბრუნდება, თუმცა, რომელ კლუბში, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ბორჯომი და ბაკურიანი ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის კანდიდატები არიან



ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (ეოკ) პრეზიდენტის იანეზ კოჩიანჩიჩის და გენერალური მდივნის რაფაელე პანიოცის მიერ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სეოკ-ის პრეზიდენტის, ლერი ხაბელოვის სახელზე გამოგზავნილი ოფიციალური წერილის თანახმად, ბორჯომსა და ბაკურიანს მიენიჭა 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის კანდიდატი ქალაქების სტატუსი.

2020 წლის თებერვალში ბორჯომსა და ბაკურიანს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრებიან ფესტივალი-2025-ის შემფასებელი კომისიის წევრები.

სეოკ-მა ფესტივალის მასპინძლობასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია ეოკ-ს 2020 წლის 31 ივლისამდე უნდა წარუდგინოს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 2. ორთვლიან ეტლში შებმული ადამიანი ინდოეთში; 3. იაროსლავ ჰაშეკის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 5. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ნიგვზისა და ბადაგისაგან მომზადებული ქართული ნუგბარი; 8. სახელმწიფო აზიაში; 10. წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 12. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა – შეკუმშვა; 14. ერთ-ერთი კონტინენტი; 15. გია დანელიას კინოკომედია; 16. პოპულარული ბარ-რესტორანი ძველ თბილისში.

**თარაზულად**: 1. ნაყვავილარი სახის მქონე ადამიანის ძველი სახელწოდება; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. აბანოს თანამშრომელი; 9. აქლემის ნაშიერი; 11. პრინცესას ტიტული ესპანეთში; 12. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში; 13. ამერიკული სამხედრო, ზებგერითი სადაზღვევო თვითმფრინავების სერია; 17. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. ავტომატურად სარეგულაციო, ჩამრთველ-ამომრთველი ელექტროხელსაწყო; 19. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის; 20. ტერიტორიული ერთეული თურქეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

